# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებული 1918 წელს.

სამშაბათი, 29 მარტი, 2011 წელი.

№57 (6669)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.


## ლევან გაჩეჩილაძემ ბადრი ბიწაძეს სცემა მიუნხენის აეროპორტში?.. ②



## ტორქოკის წმინდა მიქაელის ეკლესია ქართველმა კაცმა განაახლა ⑤



## დაიშალნენ, რათა... არ დაიშალონ!

### გუშინ ბათუმში რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაცია გაუქმდა

ამ ერთი კვირის წინათ „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყებოდა, რომ მურმან დუმბაძის ირგვლივ აგორებულ სკანდალს შეიძლებოდა პარტიის აჭარის ორგანიზაციის დაშლა მოჰყოლოდა. ჩვენი წინასწარმეტყველება გუშინ ახდა: 3 საათზე პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ამ პარტიის ერთ-ერთმა ვეტერანმა წევრმა, ხელვაჩაურის საკრებულოს დეპუტატმა ავთანდილ ბერიძემ განაცხადა, რომ პარტიის წევრების პარტიის რიგებიდან მასობრივად გასვლის გამო ლიკვიდაცია გამოაცხადეს ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონულმა კომიტეტებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა. რესპუბლიკური პარტიის ხელვაჩაურის ორგანიზაციის 107 წევრიდან 99-მა დატოვა პარტია. მათ შორის — კომიტეტის მთლიანმა შემადგენლობამ. რაც შეეხება ქობულეთის რაიონულ ორგანიზაციას, მის კომიტეტში 4 კაცი შედიოდა, აქედან სამმა დატოვა პარტია და კომიტეტიც გაუქმდა. ჯერჯერობით რჩება ბათუმის ორგანიზაცია. ⑥

## ეზიდებიან ტვირთს, რომელსაც ბოლომდე ვერ მიიტანენ ③

## ყურცქვიტა ბიუროკრატები ⑥



მერიას წერილი მივწერე...

## დიდ ფეხბურთს, როგორც წესი, პიროვნებები, დიდი კაცები თამაშობენ! ⑤







## მეორეული ეკონომიკის „შაგრენის ტყავი" ⑦

მცირე ბიზნესი

## ③ ქართული „ვირზაზუნას დღე"



მებრძოლი პოეზია

## ტარას შევჩენკო

ჯაჭვს აიწყვეტს სადაცაა
შებორკილი ხალხი,
დრო მოვა და დაიქუხებს
დნიპროც, მთაც და ველიც!
ლურჯი ზღვისკენ წავა სისხლის
ნიაღვრები ცხელი
შვილთა თქვენთა, განკითხვის და
გლოვის ჟამი დგება. ⑨

განსჯა

**იმ შემთხვევაში, თუ ქართველებს მართლაც გსურთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება, დროებით უნდა დაივიწყოთ მათი არსებობა და კიდევ ერთი — ქართველებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ, — ასეთი რჩევა მისცა ქართულ საზოგადოებას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემური ანალიზის ინსტიტუტის წამყვანმა მკვლევარმა ანდრეი პიონტკოვსკიმ საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

# ქართველებო, თუ ტერიტორიების დაბრუნება გსურთ, ცოტა ხნით დაივიწყეთ მათ შესახებ — ყველაფერი დაბრუნდება

**— საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული სიტუაცია, მიუხედავად მისი მრავალწლიანი განხილვისა საერთაშორისო არენაზე, მაინც ჩიხშია შესული. თქვენი აზრით, აქვს თუ არა საერთოდ საქართველოს პერსპექტივა (თუნდაც შორეული), აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და ტერიტორიები დაიბრუნოს?**

— პარადოქსულ პასუხს გაგცემთ ამ კითხვაზე - იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მართლაც გინდათ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება და ეს მართლაც არის მორალური, პოლიტიკური ემოციური ამოცანა ქართული საზოგადოებისთვის, უბრალოდ დროებით, გარკვეული დროის განმავლობაში, დაივიწყეთ მათ შესახებ.

საუკეთესო საშუალება მათი დაბრუნებისა არის საქართველოს დინამიკური, კულტურულ-პოლიტიკური განვითარების მაგალითის ჩვენება. რასაც თქვენ ახლა აკეთებთ კიდეც. ადამიანებმა ნახონ, რა კეთდება მდინარის ერთ და მეორე მხარეს და ყველაფერი ეს დაბრუნდება.

**— ვისი იმედი შეიძლება გვქონდეს დახმარების თვალსაზრისით ამ საქმეში?**

— შორს ვარ გულუბრყვილობისგან. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ.

**— მედიაში აქტიურად განიხილება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კრემლი აფხაზეთს 160 კილომეტრი აფხაზეთის ტერიტორიის დათმობას სთავაზობს და გაგრის რაიონს ართმევს. თქვენი აზრით, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს პროცესი?**

— ამის არ მჯერა, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, შეგიძლიათ მხოლოდ იოცნებოთ მოვლენების ამგვარ განვითარებაზე. არა მგონია ეს მოხდეს იმიტომ, რომ მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში, აფხაზეთის ხელმძღვანელობა საკუთარი მოსახლეობის თვალში მოღალატე იქნება.

მეტიც, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი რუსული მედიიდან, ბოლო დროს დაძაბულობა აფხაზეთის მარიონეტულ ხელისუფლებასა და რუსეთის ხელისუფლებას შორის იზრდება. მათ შორის არის წინააღმდეგობები იმიტომ, რომ აფხაზები თავიანთ „დამოუკიდებლობას“ ნამდვილ დამოუკიდებლობად აღიქვამენ, მათ შორის არა მხოლოდ საქართველოსგან, არამედ რუსეთისგანაც. ამ დროს კი კრემლის აზრი საერთოდ სხვაა — ის ფიქრობს, რომ ეს მათი ტერიტორიაა.

**— თქვენი აზრით, რა ელის აფხაზეთს რუსეთის ხელში?**

— მიმაჩნია, რომ ეს ორი პროცესი დაეხმარება ერთმანეთს — აფხაზების სულ უფრო და უფრო დიდი იმედგაცრუება ელით თავიანთ ფსევდოდამოუკიდებლობაში, სინამდვილეში ხომ ისინი კოლონიურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან კრემლის მიმართ და მეორე, წარმატებული და აყვავებული საქართველოს მაცდუნებელი მაგალითი.

ჩემი აზრით, სამწუხაროდ, ამგავი კილომეტრების დათმობის შესახებ — ეს სატყუარაა. ეს ძალიან კარგი იქნებოდა საქართველოს გადასახედიდან კრემლის ხასიათის ჩვენების თვალსაზრისით და ელვის უსწრაფესად გამოიწვევდა ფუნდამენტალურ კრიზისს აფხაზეთის შიგნით.

**— მიგაჩნიათ თუ არა ოკუპაციად ის ქმედებები, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე?**

— რა თქმა უნდა, სიტყვებზე დავა შეიძლება, მაგრამ ფაქტობრივად — კი. თუმცა ვიმეორებ, ეს მუშაობს ხანგრძლივადიან გეგმაში საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნებაზე. საქართველოს სჭირდება ორი რამ — აჩვენოს აფხაზეთს, და არ მხოლოდ აფხაზეთს, რუსეთსაც დემოკრატიული განვითარების მაგალითი. იგი მკვეთრ გავლენას მოახდენს (და უკვე ახდენსძ მოვლენათა მიმდინარეობაზე.

ახლა ყველა ლაპარაკობს, რომ პოლიციის რეფორმით აღფრთოვანებული არიან — ისინიც კი, ვინც სააკაშვილის და საქართველოს მტრებად მიიჩნევიან. ყველა, ვინც ჩამოდის საქართველოში და ბრუნდება უკან — კომუნისტები, მთავრობის ხალხი, ყველა — საყოფაცხოვრებო ადამიანურ დონეზე აღფრთოვანებულია ამ რეფორმით.

**— არის გამოთქმა, რომ არსებობს ორი რუსეთი — მტრული და მეგობრული. როდის გაიცნობს საქართველო მეგობრულ რუსეთს და როგორია რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივა?**



— მიმაჩნია, რომ მეგობრული რუსეთი — ეს რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობაა. იმიტომ, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ და მათთან დაახლოებული პირებს მოიცავს.

სწორედ ამიტომაც ჩვენი ხელისუფლების გაცოფებას იწვევს საქართველოს წარმატებები. მათ არ აცოფებთ ბალტიისპირეთის წარმატებები, იმიტომ, რომ ბალტიისპირელები რაღაც უცხოები არიან, მათ საბჭოთა კავშირშიც კი უცხოებად აღიქვამდნენ და ამიტომაც მათი წარმატებები რუსეთში არსებულ ტვინებზე მაინცდამაინც არ მოქმედებს.

ხოლო თუკი დავინახავთ, რომ საქართველო წარმატებით მიიწევს წინ ევროპულ გზაზე, ეს ყველაფერს შეცვლის რუსეთში, რადგან რუსეთის მოქალაქეების შეგნებაში საქართველო მათთვის ძალიან ახლოა.

**ესაუბრა**
**ეკა მომცელიძე**

ანგარიშსწორება ქართულად

# ლევან გაჩეჩილაძემ ბადრი ბიწაძე სცემა?

## ცემა-ტყეპა მიუნხენის აეროპორტში

**ბადრი ბიწაძის მიერ საქვეყნოდ გახმაურებული სკანდალის შემდეგ, რომელიც ხელისუფლებასთან ლევან გაჩეჩილაძის გარიგების მცდელობას ეხებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ამ ორი პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები არც აქციაზე, არც დარბაზში, არც მრგვალ ან სხვა ფორმის მაგიდასთან ერთმანეთს არ გადაჰყრიან - როგორც ამბობენ, შეხვედრას ორივე მხარე არიდებდა თავს.**

სამაგიეროდ, ერთმანეთის მიმართ მკვეთრ განცხადებებს თავს არ არიდებდნენ: ერთს ერთი გაზეთი ჰქონდა „ოკუპირებული“, მეორეს — მეორე და ტალახს ერთმანეთს სწორედ ამ გაზეთების ფურცლებიდან ესროდნენ. ბოლო დროს „გრეჩიხა“ ხშირად იმეორებდა, რომ არავის არაფერს შეარჩენდა და საკუთარ სიტყვებისა და ბრალდებებისთვის პასუხისგება ყველას მოუწევდა. რასაკვირველია, საქართველოს „კინალამ“ პრეზიდენტი ბადრი ბიწაძეს და მის ოჯახს გულისხმობდა.

როგორც „პრესა. ჯი“-ს სანდო წყარომ შეატყობინა და მოგვიანებით სოციალურ ქსელ „ფეისბუქზეც“ გავრცელდა, „გრეჩიხას“ შურისძიების ჟამმა მიუნხენის საერთაშორისო აეროპორტში დაჰკრა. ლევან გაჩეჩილაძე, სოზარ სუბარი, ეროსი კიწმარიშვილი და კოკა გუნცაძე გერმანიაში პირად და პარტიულ საქმეებზე იყვნენ ჩასულნი და საქართველოში მათი ვიზიტის შესახებ ცნობილი იყო. „პრესა.ჯი“-ს წყარო ამბობს, რომ მიუნხენში ისინი ირაკლი ოქრუაშვილის შუამავლობით, მისსავე მარჯვენა ხელს ქიბარ ხალვაშს შეხვდნენ და საკმაოდ ნაყოფიერი მოლაპარაკებებიც გამართეს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, პირად თუ პარტიულ საკითხებზე იყო ჩასული მიუნხენში ბადრი ბიწაძე. „ქართული პარტიის“ ოთხეულის ევროპული “ტურნისგან“ განსხვავებით, მისი გამგზავრება საქართველოდან ინფორმაციის საშუალებებში არ დაანონსებულა. თუმცა, „პრესა.ჯი“-ს წყარო, რომელმაც რეგისტრაცია „მიუნხენი-თბილისის“ ავიარეისზე გაიარა და თვითმფრინავში ჩასხდომის დაწყებას ელოდებოდა, დარწმუნებულია, რომ აეროპორტში ნამდვილად ბურჯანაძეების სიძე იხილა. წყაროს უკვე ჰყავდა ნანახი „ქართული პარტიის“ წევრები, რომლებმაც რეგისტრაცია იმავე რეისზე გაიარეს და ამიტომ, როცა მიხვდა, რომ ბადრი ბიწაძესაც იგივე რეისით უნდა ემგზავრა, მისთვის ცხადი გახდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

თვითმხილველის თქმით, თავდაპირველად ბადრი ბიწაძე და მისი თანმხლები რამდენიმე პირი „ოთხეულისგან“ მოშორებით მოეწყვნენ, თუმცა, ისინი შენიშნეს:

**„ბადრი ბიწაძეს მოუსვენრობა და დაბნეულობა ეტყობოდა, „ქართული პარტიის წევრები“ კი ერთმანეთში საუბრობდნენ და დროდადრო იმ კუთხისკენ იყურებოდნენ, სადაც ბიწაძე და მისი თანმხლებნი ისხდნენ.**

**შესაძლოა, ისინი თვითმფრინავის სალონამდე არც შეხვდეროდნენ ერთმანეთს, რომ არა ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც დანარჩენებს გამოეყო და ბიწაძისკენ გაემართა. რა თქმა უნდა, ჩხუბი უცებ არ დაწყებულა. მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, გაჩეჩილაძემ ხელკავიც კი გამოსდო ბიწაძეს და გვერდზე გაიყვანა.**

**დაახლოებით ხუთწუთიანი დიალოგის შემდეგ გაჩეჩილაძის ჟესტიკულაცია მკვეთრი გახდა, საუბრის ტონი კი მაღალი. არც გაჩეჩილაძის და არც ბიწაძის თანმხლები პირები საუბარში არ ჩარეულან. მოულოდნელად, ლევან გაჩეჩილაძემ ბიწაძეს სახეში დაარტყა.**

**ამ უკანასკნელმა წაიბორძიკა, მაგრამ არ დაცემულა და გაჩეჩილაძეს ხელი მოუქნია, მაგრამ „გრეჩიხამ“ დაასწრო და წიხლი ჩაარტყა, შემდეგ კი წაქცეულ ბიწაძეს ფეხები დაუშინა. ამასობაში მოჩხუბრებთან სუბარმა და გუნცაძემ მიირბინეს და ლევან გაჩეჩილაძე ბიწაძეს გაარიდეს.**

**გაჩეჩილაძე იგინებოდა და ისევ ბიწაძისკენ იწევდა, მაგრამ გუნცაძე და სუბარი აკავებდნენ. ბიწაძე წამოდგა და მისი თანმხლები ბიჭები მასთან მხოლოდ ამის შემდეგ მივიდნენ. ბიწაძის საპასუხო გინება არ გამიგია, მგონი, ხმა არ ამოუღია. ტანსაცმლის წმენდით ჩაიარა იმ ადგილას, სადაც მე ვიჯექი და შევამჩნიე, რომ ტუჩი ჰქონდა გახეთქილი. დარბაზიდან გასული არ იყო, რომ სამი პოლიციელი გამოჩნდა, გერმანელ მგზავრებს რაღაცები გამოჰკითხეს და „ქართული პარტიის“ წევრებთან მივიდნენ.**

**რამდენიმე წუთს საუბრობდნენ, თუ არ ვცდები, თარჯიმნობაეროსი კიწმარიშვილმა იკისრა. დაახლოებით ათწუთიანი საუბრის შემდეგ პოლიციელები უკან გაბრუნდნენ. ამ ამბავს ბევრი ქართველი ადევნებდა თვალს, რომლებიც თბილისში ბრუნდებოდნენ“,** — ამბობს „პრესა.ჯი“-ს წყარო, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

რა გამოხმაურება მოჰყვება ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენელთა ჩხუბს, დაადასტურებენ თუ არა ისინი ამ ფაქტს საერთოდ და გააგრძელებენ თუ არა ერთმანეთთან ანგარიშსწორებას თბილისში, კვირის განმავლობაში გამოჩნდება. „პრესა.ჯი“-სთვის როგორც ლევან გაჩეჩილაძე, ისე ბადრი ბიწაძე კომენტარისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდნენ.





**გეგა ჯორჯიკია**
**„პრესა.ჯი“**

* * *

**ბადრი ბიწაძე მიუნხენის აეროპორტში ლევან გაჩეჩილაძესთან დაპირისპირებას ადასტურებს. როგორც ბადრი ბიწაძემ განაცხადა, მან და გაჩეჩილაძემ მიუნხენი-თბილისის რეისით ერთად იმგზავრეს და გაჩეჩილაძე მის პროვოცირებას ცდილობდა.**

— გაჩეჩილაძემ მიიღო ახალი დავალება, რომ მოიწყოს პროვოკაციები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და მდგომარეობიდან გამომიყვანოს. მას ამაში უხდიან ფულს. მას შეუძლია პროვოკატორობა, სხვა არაფერი. მაგრამ მე არა ვარ ის პიროვნება, რომ იაფფასიან პროვოკაციას ავყვე, — განაცხადა ბიწაძემ.

შეხვედრა

# ოპოზიციური „რვიანი“ ბრძოლას განაგრძობს

**ოპოზიციური „რვიანი“ ქართულ აკადემიასა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას შეხვდა... ოპოზიციური „რვიანის“ წარმომადგენლებმა იმ მიზეზებზე იმსჯელეს, რის გამოც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა.**

**პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრის მამუკა კაციტაძის განცხადებით, 5 თვის განმავლობაში წარმოებულ მოლაპარაკებებს რეალური შედეგი არ მოუტანია. მისი თქმით, „რვიანი“ განაგრძობს ბრძოლას საარჩევნო გარემოს შესაცვლელად, მაგრამ ეს შრომა უმადური და დაუფასებელია.**

„ეს პასუხისმგებლობა ოპოზიციურმა „რვიანმა“ საკუთარ თავზე აიღო და ბრძოლას გავაგრძელებთ“, — დასძინა კაციტაძემ.

ოპოზიციური „რვიანის“ წარმომადგენლების განცხადებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის 20 წლის მანძილზე ოცამდე ეროვნული მასშტაბის არჩევნები ჩატარდა, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. ამგვარი „არჩევნები“ მოსახლეობის ნაწილს რწმენას უკარგავს.

ჩვენ გვჯერა, თითოეულ მოქალაქესთან ერთად დავძლევთ „ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობილ ნიჰილიზმს“, — განაცხადეს შეხვედრაზე. ოპოზიციური „რვიანის“ წარმომადგენლებს სჯერათ, რომ მათთან შეუთანხმებლად ხელისუფლება არჩევნებს ვერ ჩაატარებს, ხოლო თუ ჩაატარებს, ეს იქნება არა არჩევნები, არამედ — ხალხის ბრძოლა.

ოპოზიციურმა „რვიანმა“ ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გაამახვილა ყურადღება — ბიომეტრიულ სიებზე და საარჩევნო სიების შეცვლაზე, რათა პოლიტიკურმა სუბიექტებმა პარლამენტში მიღებული ხმების შესაბამისი მანდატები მოიპოვონ.

ცნობისათვის: ოპოზიციურ „რვიანსა“ და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა. ოპოზიციური „რვიანის“ მესვეურები ფიქრობენ, რომ ხელისუფლების მხრიდან პროცესის გაგრძელებას აზრი არა აქვს.

**ირინა ოგოლაშვილი**

ტკივილით თქმული

# ეზიდებიან ტვირთს, რომელსაც ბოლომდე ვერ მიიტანენ

**საქართველოში დღეისათვის არ არსებობს ერთი დარგი, მეცნიერების თუნდაც ერთი სახეობა, რომელზედაც თამამად და თავმომწონედ შეგვიძლია საუბარი. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერიის უღელი მხრებიდან მოვიშორეთ, მერე დავიწყეთ ძველის ნგრევა და ისე მოგვეწონა ეს პროცესი,რომ დღემდე ამ საქმიანობითა ვართ დაკავებული. როგორც ჩანს, დანგრევა უფრო გვეადვილება, ვიდრე სხვა რამ სიახლის ძიება და შემოქმედებითი საქმიანობა.**

სამწუხაროდ, ამ ნგრევით გართულებს ვერ შეგვიტყვია ბარიკადებზე რომ აღმოვჩნდით. ახლა ნანგრევებში გზას ვერ ვიკვლევთ, არც ვიცით, როგორ გამოვიდეთ იქიდან, თუმცა, რომც გამოვიდეთ, სად წავიდეთ, რომელი მიმართულებით, საით და როგორ ვიაროთ. იქნებ იმ მიმართულებით, რომლითაც ახლა დავდივართ? უცნაურია და უნდა ვაღიაროთ, რა სენიც გვჭირს – ყველაფერი უცხოურით მოხიბვლა და... გაგიჟება. სადღაც, რომელიმე უცხო ქვეყნისთვის წარმატებული თეორია, პროგრამა თუ პროექტი (ახლა პროგრამებია მოდაშიძ ისე ალგვაფრთოვანებს, თვალდახუჭული გადმოგვაქვს და გვინდა, ჩვენს ხალხს მოვარგოთ როგორმე, თითქოს ჩვენ არ შეგვეძლოს ჩვენი, საკუთარის შექმნა! ეს არის სწორი მიმართულება? რატომ გვგონია, რომ სულ სხვა ხასიათის, ფსიქოლოგიისა და ისტორიის მქონე ეთნოსის გამოცდილებაზე შექმნილი პროექტი ჩვენც ზუსტად ისევე გვარგებს, როგორც მათ შემქმნელებს?

მაგონდება ერთი ანდაზა, „ინდოეთში ვირი ხეზე გადისო“. განა ჩვენთვის უცხოა რომელიმე? მადლობა ღმერთს, ხეებიც საკმაოდ მოგვეპოვება, ჯერჯეროვბით და ანდაზის მთავარი მოქმედი პირიც უამრავი გვყავს... ვსინჯოთ მაინც, საქართველოში გავლენ კი ეს პატივცემული პირუტყვები ხეზე? არა, გინდა თუ არა, გავლენო, გვარწმუნებენ და შემოაქვთ და შემოაქვთ ის უცხოური პროექტები თუ „სტანდარტები“, უნდათ გაგვიყვანონ ხან ხეზე, ხან ცაზე და ხან სად. მაგრამ, როგორც ვირი ვერ გავა ხეზე, ასევე ვერც ჩვენ გავალთ ძველის ნგრევით, ტაქტიკასა და სტრატეგიასთან შეუთანხმებელი პოლიტიკით იმ სასურველ გზაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოდ აქცევს, ხალხს კი დამოუკიდებელ და თავისუფალ მოქალაქეებად. ეს ყველაფერი კარგად დაგვანახეს ბოლო წლებმა... რამდენი ხანია ვართ გაწამაწიაში, მაგრამ შედეგად ხალხისა და ქვეყნის სასარგებლო არაფერი გამოგვსვლია. პირიქით კი, ბევრი უბედურება დავიტეხეთ თავს, სამსახურისა და ლუკმაპურის ძიებაში მოსახლეობის დიდი ნაწილი შემოგვეფანტა... არც რომელიმე დარგი აგვიყვავებია, მეცნიერება ჩავახშვეთ, ინტელექტუალები სამარცხვინო მდგომარეობაში ჩავაგდეთ. ახლა კომპიუტერსა და იმ საარაკო უნარ-ჩვევებში გაწაფული გოგო-ბიჭები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე გამოცდილი და პრაქტიკოსი პროფესიონალები. თუმცა ეს რა უკეთესობაა. მდგომარეობა, რომელიც არც ასაკიანებს და არც უასაკოთ საბოლოო სიკეთეს ვერ მოუტანს, განა უკეთესობად ჩაითვლება? როდესაც საქმეს გამოუცდელი და იმ დარგის არმცოდნე მიუჯდება, განა ასეთი მიდგომიდან ქვეყნისთვის რაიმე სასარგებლო გამოვა?

ღმერთო, ამას რას შევესწარით, როგორ დაგვიპირისპირეს ჩვენივე დაზრდილი ბავშვები! განა ჩვენ იმისთვის არ ვცხოვრობთ ამ ქვეყნად, რომ უკეთესი შვილები დავუტოვოთ სამშობლოს? მაგრამ ამ შვილებმა დამზრდელთა ფასიც ხომ უნდა იცოდნენ? ის გამოცდილებაც და ცოდნაც ხომ უნდა შეიძინონ, რომელიც მხოლოდ პრაქტიკასა და წლებს მოაქვთ? რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში? ვიღაც-ვიღაცებისთვის საამაყო რეფორმები? მერე და თუ ასეთმა რეფორმებმა ჯერაც არაფერი მოგვიტანა და აწიც არც არაფერს მოგვიტანს, ვიკითხოთ მაინც, რაში გვარგებს ასეთი რეფორმები?

კარგი, ვთქვათ, ამ სატრაბახოდ ქცეულ რეფორმებს აყოლილმა ბევრმა ხელმძღვანელმა თავის გამოსაჩენად ჩაატარა კონკურსი თუ ამდაგვარი ღონისძიება, რის შედეგადაც სამსახურიდან განთავისუფლდნენ ახალ ტექნოლოგიებში ნაკლებად გაწაფული, მაგრამ დარგისა და საქმის კარგი მცოდნე მუშაკები და მათი ადგილები დაიკავეს ეგრეთ წოდებულმა „კომპიუტერისტებმა“. მიუსხდნენ ამ საყვარელ მანქანებს, მაგრამ არ იციან რა და როგორ აკეთონ. დარგი თუ არ იცი, მანქანა რას გიშველის! აუცილებლად საჭიროა ასეთი ახალგაზრდების განათლება, მათი დაკვალიანება. მერე, ვინ უნდა დააკვალიანოს ეს ხალხი, წუთუ იმ ხელმძღვანელებმა, რომლებიც თავადაც დარგის ცოდნით და სიყვარულით კი არ მოსულან... განათლებაც მიღებული აქვთ, უინტელექტობასაც ვერ ვიტყვით, მაგრამ არ არიან ამ საქმის სპეციალისტები და რა ვქნათ! განა შეიძლება უარვყოთ პროფესია და პროფესიონალიზმი და უფრო მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ ზოგადი განათლება, რომელშიც დღეისათვის უკვე კომპიუტერის ცოდნაც მოიაზრება? კომპიუტერებს ხომ დღეს სკოლის მოსწავლეებიც საუკეთესოდ ფლობენ!

მინდა მკითხველის ყურადღება მივიპყრო ზოგიერთთა წარმოდგენაზე ძველი და ახალი ცოდნის შესახებ. „ძველი ცოდნა“, „ახალი ცოდნა“ – განა შეიძლება ასეთი დაყოფა? ცოდნა არ ძველდება. არა მგონია, საკამათო იყოს ის თეზა, რომ ძველი ცოდნის გარეშე არ არსებობს ახალი და პირიქით. თუ ადამიანი ფეხზე დგას, არის ინტელექტუალი და აქვს მუშაობის სურვილი, ის უთუოდ ახალსაც ითვისებს, რაც მთავარია, გრძნობს სიახლეს, პატივს სცემს და ითვალისწინებს მას, არ კარგავს პერსონალისა თუ სხვა სიტუაციების რეალურად შეფასების, დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ ქვეყნის სასიკეთოდ მათი გამოყენების უნარს. ჩვენდა სამწუხაროდ, თანამედროვე რეფორმისტი ორგანიზატორები ასე როდი იქცევიან. „მოდას“ აყოლილნი ძველ კადრს უმოწყალოდ იმეტებენ და „ახალი ტექნოლოგიების მცოდნეთა“ ლოზუნგით მოჰყავთ დარგთან საკმაოდ დაშორებული ახალგაზრდები, რომელთა გათვითცნობიერებას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება. ამასობაში ჩნდება და გროვდება გამოუსწორებელი შეცდომები, იხარჯება დროც, თანხაც. ხოლო წაგებული რჩება ის დაწესებულება თუ ის წარმოება, რომლის ხელმძღვანელობას სურს, ქულები ჩაიწეროს: აი, შემომხედეთ, რა თანამედროვე ვარ, რეფორმებსაც წარმატებით ვატარებ, ძველ კადრს თავიდან ვიცილებ, ახალი და უკეთესი კადრი მომყავსო. ასეთი მიდგომით ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება ვერ იქნება წარმატებული.

იხ. 4 გვ.




თვალსაზრისი

# ქართული „ვირზაზუნას დღე“

**დიდი ხანია „ქართული ლიბრეტო“ ერთ, არც ისე ძველ ამერიკულ ფილმს – „ვირზაზუნას დღე“ (1993) მაგონებს. იგი მრავალჯერ იქნა გარიმეიკებული. საქართველოში ჰოლივუდის ამ პროდუქტს მიმსგავსებული ასლის გადაღებაზე ფულის დახარჯვა კი სულაც არაა საჭირო, რადგანაც ჩვენ ისედაც ქრონიკულად ვირზაზუნას დღე-ღამეები გვაქვს. დენი რუბინმა და ჰაროლდ რამისმა თავიანთ ფილმს კომედია უწოდეს, თუმცა იქ უფრო მეტ სატრაგედიოს იპოვით, ვიდრე – სასაცილოს. იგი ერთგვარი ვირზაზუნული ტრაგიკომედიაა.**

უცნაური დამთხვევაა, რომ „ვირზაზუნა“ ქალაქ ვუდსტოკში (შტატი ილინოისიძ გადაიღეს. ამერიკაში არა ერთი ამგვარი ქალაქი-სეხნია არსებობს. არა, ეს არ არის 42 წლის წინანდელი როკ-ჰიპ ფესტივალის ქალაქი, რომელიც ნიუ-იორკის შტატს ეკუთვნის. სხვათა შორის, ბიტნიკების ეს გრანდიოზული, ჰიპური „თავყრილობა“ გეოგრაფიულად ვუდსტოკში მაინც არ გამართულა, არამედ – ნიუ-იორკის შტატის პატარა ქალაქ ბეთელში. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „ნამდვილი“ ვუდსტოკის მერიამ განაცხადა, რომ ამდენ ხალხს ვერსად დაატევდა. უბრალოდ, 1969 წლის მთავარ მსოფლიო მოვლენას სახელი „ვუდსტოკი“ ინერციით შემორჩა. და კიდევ საფლავის მსგავსი მემორიალური ქვა: რომ სწორედ აქ „მოხდა“ ვუდსტოკი. იქვე დიდი ასოებით იმათი სახელებიცაა, ვინც ეს ქვა ვუდსტოკს უსახსოვრა. აშშ-ში ასე იციან. ბიბლიოთეკაში ძველ, მორყეულ სკამსაც კი, თუ ის ნაჩუქარია, მისი გამცემის სახელი და გვარი ოქროს ასოებით აწერია. სხვათა შორის, ვირზაზუნას ვუდსტოკში, იმ ადგილას, სადაც მთავარ გმირს ფეხი ტლაპოში ყოველდღე ერთსა და იმავე ალაგას ეფლობა, მემორიალური ქვა თუ ვარსკვლავი დადეს თუ გახსნეს. ტლაპოში ჩავარდნა, მართლაც რომ მრავალმნიშვნელოვანი ისტორიული ანალოგიაა და ამიტომ სამაგალითო მინიშნებასაც იმსახურებს.

ვუდსტოკი ყოველთვის იქნება ამერიკული „სპირიტის“ გამოვლინება და მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. იმ დროს ჰიპებს სჯეროდათ, რომ ისინი ახალ ცხოვრებას ქმნიდნენ, რომ შესძლებდნენ უტოპიური იდეის განხორციელებას, სადაც ადამიანებს მხოლოდ სიყვარული სჭირდებათ; სჯეროდათ, რომ მათი კონტრკულტურა „ამერიკული ოცნებისგან“ რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა, რომ მარტო ამერიკული კი არა, მსოფლიო ოცნებაც გახდებოდა. მაგრამ, ფაქტობრივად, ვუდსტოკი ჰიპების ერის წარმომავლობის აღმნიშვნელი გალა-კონცერტი გახდა. მას თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი დაესწრო. ეს იყო აწმყო, რომელიც უკვე წარსული ხდებოდა. წინ სექსუალური რევოლუცია და სხვა უსისხლო რევოლუციები ელოდათ. ამერიკელები გრძნობენ ამ სიფრიფანა, გამჭვირვალე, მაგრამ მაინც ხელშესახებ ზღვარს, გამყოფ ძაფს წარსულსა და აწმყოს შორის; ხედავენ იმასაც, თუ სად გაივლის აწმყო-მომავლის ხაზი. ამ ზღვრის ჯანსაღი განცდის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების ცივილიზებული მოდერნიზაცია. მაშინდელი ცნობიერების ექსპერიმენტატორი „მარიჰუანისტი“, „ჰაშიშისტი“ თუ „ელესდისტი“ ვუდსტოკელ – იდეალისტთა უმეტესობა, ანუ ისინი, ვინც ნარკომანობას გადაურჩა, დღეს ამერიკაში მსხვილ (მათ შორის პოლიტიკურძ, საშუალო თუ წვრილ ბიზნესს ატრიალებს; მათი შვილები (ის 200 000-იც, რომელიც ვუდსტოკის ღამეების შემდეგ „უკანონოდ“ გაჩნდნენძ და შვილიშვილები სილიკონისა თუ საფერმო ველებს „ახარებენ“; სამივე თაობა კი გადასახადებს პატიოსნად იხდის. ისინი ამერიკის მოქალაქეები არიან. და არა ვუდსტოკის. ვუდსტოკი იყო. ვუდსტოკური ფაზა, გნებავთ, საფეხური, ბიტნიკების არაძალადობრივი რევოლუცია, ამერიკამ შვა, მიიღო, გაიარა, გაატარა და დაასრულა ყოველგვარი სისხლიანი დაპირისპირების გარეშე (Give Peace a Chanced. თუმცაღა ვუდსტოკის ფესტივალიდან სამი წლის შემდეგ დანიაში, კოპენჰაგენთან ახლოს ჰიპების უცნაური სახელმწიფო „ქრისტიანია“ (სახელწოდებას რელიგიასთან კავშირი არა აქვსძ საკუთარი დროშითა და ქცევის კოდექსით დაფუძნდა. ამერიკელი ჰიპების მოძრაობის სულით შთაგონებული დანიელი ანარქისტები სამხედრო ყაზარმებში შეცვივდნენ, ტერიტორია უკანონოდ დაიკავეს და იქ თავისუფალი ქალაქი „ქრისტიანია“ თავიანთ სამფლობელოდ გამოაცხდეს. ამ თვითგამოცხადებული „გეოგრაფიული ერთეულის“ მოქალაქეები მარიჰუანას თავისუფლად მოიხმარდნენ, ავტომობილებს არ სცნობდნენ და საყოველთაო სიყვარულის პოლიტიკას ქადაგებდნენ. „ქრისტიანიაში“ მხოლოდ ათასი ადამიანი ცხოვრობდა. მაგრამ გამოხდა ხანი და ეს ნახევრად ლეგალური წარმონაქმნი იძულებული გახდა სახელმწიფოსთვის დაეთმო და არაანარქისტულ, კომპრომისულ ნაბიჯზე წასულიყო - გადასახადები გადაეხადა (ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მუშაობდნენძ. 2011 წლის თებერვალში კი დანიის უმაღლესმა სასამართლომ მათი გასახლების დადგენილება მიიღო. „ქრისტიანია“ აღარ არსებობს.

არაორდინარული ჰიპებიდან ისევ ორდინარულ ვირზაზუნებს დავუბრუნდეთ. ზემოხსენებული ფილმის მოკლე შინაარსი ასე ჟღერს: ერთი არაპოპულარული ტელეარხის მეტეოპროგნოზის წამყვანს, უჟმურ, ეგოცენტრიკ ფილ კონორს, რომელსაც თავისი თავი მსოფლიო მედიის გამობრწყინება ჰგონია, 3 თებერვალი პრინციპულად არ უთენდება, ანუ ფილმის გმირი, რომელსაც ბილ მიურეი თამაშობს, სიუჟეტის მიხედვით მუდმივად 2 თებერვალშია „გარჩენილ-გაჩხერილი“. არა, განა ორი თებერვალი უსასრულოდ გრძელდება ან ნაკიანი თვე მთლად გაგიჟდა, მაქსიმალურად შემცირდა და ორ დღეზე დავიდა? არა. ამ ფილმში თითქოს ჩვენებური ბრძენი კაცი სადღაც ზის და მოშლილი პატეფონივით მანტრას „ხვალაც ამ თვისააო“ გაიძახის. კი, ხვალაც ამ თვისაა, მაგრამ ეს ხვალ არა და ვერ დგება. ფილ კონორს სერიოზულად „არ უმართლებს“. ამერიკაში დიდი ხანია არსებობს 2 თებერვალს პენსილვანიის შტატის პროვინციულ ქალაქ პაკსოტონში სოროში მცხოვრებ ვირზაზუნის გაღვიძების, იქიდან მისი ძალით გამოთრევისა და დღის სინათლეზე, ასე ვთქვათ, ცივილიზაციაში ასევე ძალით „გამოყვანის“ ტრადიცია. რასკვირველია, სოროს შიდა „დიზაინის“ აღწერით თავს არავინ იწუხებს. სორო სოროა, ისევე როგორც ტლაპო – ტლაპო. თუმცა სოციოლოგიური თვალსაზრისით ესეც საინტერესო იქნებოდა. თუ ვირზაზუნას დღის სინათლეზე თავისი ჩრდილი დახვდა, შეეშინდა და სოროში უკან შებრუნდა, ე.ი. გაზაფხული მალე არ მოვა, ზამთარი კი ხანგრძლივი იქნება, მინიმუმ კიდევ 6 კვირა.

იხ. 4 გვ.

ტკივილით თქმული

# ეზიდებიან ტვირთს, რომელსაც ბოლომდე ვერ მიიტანენ

(მესამე გვერდიდან)

საქმე კიდევ უფრო მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ხელმძღვანელი რა ხელმძღვანელია, თუ თავის კადრს არ იცნობს, არ იცის, ვის რა ცოდნა აქვს, ვის რა პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორია იგი მომხმარებელთან (პაციენტთან, სტუდენტთან და ა.შ.ძ, კომუნიკაბელურია თუ არა და, რაც მთავარია, როგორია მისი დაწესებულების, წარმოება-ორგანიზაციის და ამ ორგანიზაციების ქვესტრუქტურების მომსახურე პერსონალის სოციალური მდგომარეობა. ძნელია ეს ყველაფერი, მაგრამ, როცა ხელმძღვანელი ხარ, შენი ქვეყნის მდგომარეობაც კარგად უნდა იცოდე, გაჭირვებულ, უმუშევარ და უკმაყოფილოთა რაზმი შენი მხრიდანაც კი არ უნდა გაზარდო და ქვეყნის საზრუნავს საზრუნავი მიუმატო, პირიქით, ჩემო ხელმძღვანელებო და უფროსებო, პირიქით! შენი კადრი თუ მთლად წყალწაღებული არ არის, იქვე, შენს რგოლშივე პროფესიის ასამაღლებელი გაკვეთილებით, ანუ ეგრეთ წოდებული ტრეინინგებით, მუდმივი სწავლებითა და სემინარებით მათი კვალიფიკაცია აამაღლო, ულუკმაპუროდ არ დატოვო უკვე შენთვის ცნობილი და ამდენად უკვე ახლობელი ადამიანები, და რაღაც გამოგონილი კონკურსი ხაფანგივით არ დაუგო მაშინ, როდესაც ამის საჭიროება მაინცდამაინც არ არის, როდესაც იცი, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება, ანუ, როდესაც ერთი შენთვის უკვე კარგად ნაცნობ მუშაკს, არცთუ მაინცდამაინც პროფესიონალური გამოცდის საფუძველზე, ჩაანაცვლებ მეორე უცნობით. ჰუმანურობა, ხელმძღვანელის მახასიათებელ თვისებებსა და მოვალეობებში, პირველ რიგში უნდა იდგეს.

ისევ ვიმეორებ: შენს თანამშრომლებს, ავსაც და კარგსაც, უნდა უპატრონო, უნდა მოუარო, თუ თანამშრომლები მართლაც უხეირონი და წყალწაღებულები არ არიან და ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებას ხელს არ უშლიან! ჩვენ გვინდა წარმატებული მუშაკები, წარმატებული ხელმძღვანელები (და ასე შემდეგძ ვიყოთ, მაგრამ მთავარია, ვიყოთ წარმატებულნი ადამიანის სიყვარულში, ვიყოთ ჰუმანისტები. საუბედუროდ, დღეს თუ რამ აკლია ჩვენს მართლაც საოცარი ნიჭით დაჯილდოებულ ხალხს, ეს ჰუმანიზმია! სანამ კონკურსს ჩაუტარებდეთ საკუთარი ხუთი თითივით ნაცნობ თანამშრომლებს, კარგად დავფიქრდეთ: რატომ, რისთვის და ვისთვის!

ბატონებო, ამ წერილის ყველა წამკითხველს მინდა გულწრფელად ვუთხრა, თუ როგორ მეცოდება ორივე მხარე – კონკურსანტებიც და კონკურსის ინიციატორებიც. კონკურსანტები იმიტომ, რომ ბევრი ღირსეული სპეციალისტი უსამართლო გაუგებრობაში მოხვდა. დაზარალდა თავადაც და დაზარალდა ორგანიზაციაც. კონკურსის ინიციატორები კი იმიტომ,რომ მათ აშკარად აკლიათ რაღაც (უკვე ზემოთ ვისაუბრეთძ და მათ შორის ორგანიზატორის ნიჭიც... ამაოდ ეზიდებიან იმ ტვირთს,რომელსაც ბოლომდე ვერ მიიტანენ. ასე ხდება მთელ საქართველოში, თავიდან ბოლომდე! არადა, ორივე ჩემია, ჩემი სისხლი და ხორცი, ორივე მტკივა და ორივეზე მეწვის გული. მიხვდებიან კი ზოგიერთები ამას?

**გულნარა სტურუა**

ინფორმაცია

## თურქეთთან მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდება

ოფიციალური თბილისი ადასტურებს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის მიმოსვლა, შესაძლოა, კიდევ უფრო გამარტივდეს.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის გადაადგილება მხოლოდ პირადობის მოწმობების საშუალებით იქნება შესაძლებელი.

აღნიშნული საკითხი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს დაისვა. საქართველოსა და თურქეთს შორის მხოლოდ პირადობის მოწმობების საშუალებით გადაადგილება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ეს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

უკვე მიმდინარეობს ქვეყნებს შორის არსებული შესაბამისი ხელშეკრულების მოდიფიკაციის შესახებ მსჯელობა და ტექნიკურ საკითხებზე მუშაობა.

## ჩუმლაყელებს მგლები შეესივნენ

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მცხოვრებლები მგლებისგან დასაცავად მონადირეთა ჯგუფის შექმნას ითხოვენ. მტაცებლებმა კვირას ღამით ვალიკო ბაზერაშვილის სახლის ეზოში სახედარი შეჭამეს. დაზარალებულის თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში სოფელს მგლები მეოთხედ შეესივნენ.

– შიშით ღამე ქუჩაში ვეღარ გამოვსულვართ. გამგეობას ვთხოვთ, რომ მონადირეთა ჯგუფი შეიქმნას და მორიგეობა დაწესდეს, – აღნიშნავს დაზარალებული.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის შოთა უტიაშვილის განცხადებით, მონადირეთა ჯგუფის შექმნის მოთხოვნით ჩუმლაყის მცხოვრებლებს გამგეობისთვის არ მიუმართავთ. – ამ დროისთვის მათ ჩვენთვის არ მოუმართავთ. მომართვის შემთხვევაში მზად ვართ, დავეხმაროთ, ეს იქნება ტყვია-წამლით თუ ფინანსურად. ყველანაირად ვეცდებით, რომ მოსახლეობას ხელი შევუწყოთ და მგლებისგან დავიცვათ, – აღნიშნა გამგებელმა.

**ХО-ЭИВ-ЭНО**

გამოგვეხმაურეთ!

# „პოლიტიკოსთა ცხოვრების წიგნი“

**მოსაზრება ასეთი წიგნის შექმნის თაობაზე საზოგადოებრივ მოძრაობაში „წინ – საქართველო!“ დაიბადა 2005 წლის დასაწყისში.**

ამ მოძრაობის მთავარი კომიტეტის წევრები: **მამუკა არეშიძე, ირაკლი ბათიაშვილი, გიორგი კობახიძე, ჰამლეტ მელაძე, ნუკრი ქანთარია, მიხეილ ქურდიანი, დავით ჭეიშვილი, მერაბ ჯიბლაძე** და მე – **თემურ შაშიაშვილი** ამ აზრამდე ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, ქვეყნის მომავლის ხედვამ მიგვიყვანა. მიგვიყვანა იმ რეალობამ, რომ პოლიტიკაში მომძლავრდნენ და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდეს ყალბი ეროვნული პათოსის, დემოკრატიით მოთამაშე, სოციალური დემაგოგიისა და პოლიტიკური კორუფციით სავსე პოლიტიკოსებმა.

ცნობილმა მოღვაწემ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, გელათის აკადემიის პრეზიდენტმა, აწ გარდაცვლილმა **მიხეილ ქურდიანმა,** ამ იდეით აღტაცებულმა, იგი პროგრამულ განაცხადად აქცია და გამოაქვეყნა კიდეც 2005 წლის ივლისში.

რაც დრო გადის, ასეთი წიგნის, უფრო სწორად, ასეთი ფუნდამენტური კვლევის აუცილებლობა კიდევ მეტად იზრდება და მისი გამოცემის აუცილებლობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს.

ჩვენ, „თეთრები“ ვთვლით, რომ დღეს, **როცა** საქართველოში დიდი პოლიტიკური ომია, რომელსაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჰქვია: „ყველა – ყველას წინააღმდეგ“, **როცა** ვისაც რა უნდა, იმას ამბობს ნებისმიერ ადამიანზე – განმკითხავი კი არ ჩანს... **როცა,** როგორც დიდი ილია ამბობდა: „გულჟუჟყიანთა“, ანუ იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომელთათვისაც დასმენა ჩვეულებრივ ამბად იქცა, პოლიტიკაში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა... **როცა** ქართული პოლიტიკიდან გონება განიდევნა და ჭორმა სიმართლე გადაფარა, **როცა** ტყუილზე და ჭორზე აგებულ ხელისუფლებას აწყობს, რომ ქვეყანაში ყველა პოლიტიკოსი გასვაროს, ყველა კორუმპირებული იყოს, ყველას მაფიოზი და ჭორიკანა ერქვას, ანუ ყველა ისეთი იყოს, როგორიც არის დღევანდელი ხელისუფლება, როგორიც არის დღევანდელი პრეზიდენტი, ასეთი წიგნის შექმნას, მართლაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის მომავლისათვის.

სამწუხაროდ, მიხეილ ქურდიანი დღეს ცოცხალი არ არის. მისი ღვაწლის დაფასება იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გადაწყვეტილება, მიხეილ ქურდიანის მცხეთაში, სამთავროს მონასტრის ეზოში, ცნობილი სასულიერო და საერო მოღვაწეთა გვერდით დაკრძალვის შესახებ. ნათელი დაადგეს ამ კეთილი კაცის ხსოვნას.

ახალი პოლიტიკური ძალის, „თეთრი მოძრაობის“ („თეთრები“ძ გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ **„პოლიტიკოსთა ცხოვრების წიგნის“ კონცეფციას განხილვისა და განსჯისათვის.**

მივესალმებით ყველას, ვისაც ასეთ წიგნზე მუშაობის სურვილი ექნება. ვფიქრობ, ამის თაობაზე კონკურსის გამოცხადებაც კი შეიძლება. ეჭვი არ მეპარება, საქართველოს დღევანდელობისა და მისი მომავლისათვის ამ საშურ საქმეს ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება როგორც მონაწილეობის, ასევე დაფინანსების თვალსაზრისითაც.

**თემურ შაშიაშვილი**

თვალსაზრისი

# ქართული „ვირზაზუნას დღე“

(მესამე გვერდიდან)

ანუ ჩვენებურ კაცს ამერიკელთან ერთად სოროში უკან შეძრომისა და ძილის გაგრძელების „ლეგიტიმური“ უფლება აქვს, რადგან ადრეული გაზაფხული მას არ ემუქრება. რეალურ ცხოვრებაში კი პრინციპული საკითხია, თუ ვინ როგორ იყენებს ამ უფლებას. სხვათა შორის, ვირზაზუნას ფილი ჰქვია, ანუ იგი ფილი -ადამიანის სეხნიაა თუ პირიქით. ჰოდა, ფილი (ადამიანიძ თავის კოლეგებთან ერთად ამ ვირზაზუნულ ცერემონიალს, აფართხალებულ, დაბნეულ ფილს (ცხოველსძ, აჟიტირებულ ცერემონიალისტებსა და კიდევ უფრო სიხარულისგან და სანახაობისგან გამოცოცხლებულ ხალხს ვიდეოკამერით იღებს. დიდი „შემოქმედებითი წვის“ შემდეგ, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, ძლივს დამონტაჟებული სიუჟეტი ბოლოს და ბოლოს მზადაა, მაგრამ დიდთოვლობის გამო გადამღები ჯგუფი ვერსად მიდის და იგი ამ პატარა ქალაქში ჩარჩება. მთელი უბედურება კი ის არის, რომ ფილს სამი თებერვალი არაფრით უთენდება. თავიდან თითქოს სახალისოცაა: გინდ იყაჩაღე, გინდ პოლიციელებს მიაყენე შეურაცხყოფა, არაფერი გემუქრება, რადგან აქ „ხვალ“ არასოდეს დგება. ანუ ადამიანი ლამის უიმედოდ მონოტონურ 2 თებერვალშია ჩარჩენილი, გაქვავებული, მარილის სვეტად ქცეული. ამგვარი გაშეშება ორივე ფილისთვის და, მით უმეტეს, მსახიობ ბილ მიურეისთვის, ბუნებრივია, ცხოვრებისეული დიდი კატასტროფა არაა; ქვეყნისთვის და მისი ხალხისთვის კი ერთი და იგივე წრეზე სიარული არასავირზაზუნო დიდი ტრაგედიაა. სამი თებერვალი კი ფილისთვის მხოლოდ მაშინ დგება, როცა იგი თავად გადაწყვეტს, შეცვალოს თავისი ცხოვრება, როცა სიყვარულს უმხელს იმას, ვინც დიდი ხანია უყვარს. ამერიკული ჰეპი-ენდი? კონფლიქტოლოგიური ცნება „კონფლიქტების გადაწყვეტის ტექნიკა“ რატომაც არა?

ქართულ რეალობაზე ფიქრის დროს რატომღაც ყოველთვის „ვირზაზუნას დღე“ მახსენდება. ეს ფილმი იაპონიის წლევანდელმა ტრაგედიამაც გამახსენა. და აი რატომ. მწარედ მახსოვს ის, რომ წინა საუკუნის ბოლო ათწლეულის სამოქალაქო ომის დროს ტელევიზიით ჟუჟერზე დაგდებული, გაყინული გვამების ჩვენების შემდეგ დიქტორი ინდიფერენტული ხმით ხან თავად არეკლამირებდა ტურისტულ ფირმას „თეთრი რაში“, ხანაც ტელეეკრანზე დროდადრო „თეთრი რაში“ თავად ჩნდებოდა. ეს 2008 წლის აგვისტოშიც არ შეწყვეტილა. რასაკვირველია, ვგულისხმობ, სხვა ტურისტული კომპანიისა თუ კომპანიების „პრომოუშენს“. ქვეყანაში ომი იყო და პარალელურად - ტურისტული სეზონიც. იაპონელებმა კი თავსდამტყდარი უბედურების დროს ტელეკომპანიებს სთხოვეს, რომ მათ კომერციული რეკლამის ჩვენება საერთოდ შეეწყვიტათ. შეწყვიტეს კიდეც. ქვეყნის ტრაგედია ტრაგედიაა იმათთვისაც, ვისაც ტელევიზორი უმუშავებთ... 1923 წლის 1 სექტემბერს იაპონიას საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. მაშინ ლამის ნახევარი მილიონი ადამიანი დაიღუპა და უკვალოდ გაქრა. პირველი, ვინც ამ ნაციონალურ უბედურებას გამოეხმაურა, იაპონური მაფია „იაკუძა“ იყო, რომელიც დანგრეული ტოკიოს აღდგენას შეუდგა. ეს იაპონიაა. საქართველოში კი ფული და ძალები იმისთვის მობილიზდება, რომ „სისხლი აჩუხჩუხდეს“ და იქნებ ისევ, როგორმე, რამენაირად კვლავ 2 თებერვალში დავრჩეთ. სხვათა შორის, 2 თებერვალი (1992ძ საქართველოში სწორედაც რომ აღნიშვნის ღირსი თარიღია. თბილისის ცირკთან უიარაღო მომიტინგეთა დახვრეტის დღე. მაგრამ ეს საქართველოა. და განა პრობლემა ის არის, რომ ქართველის თავში იაპონური ტვინის ტრანსპლანტაცია ეფექტიანი ოპერაცია იქნებოდა, ანდა ატომური დაბომბვა „გვიშველიდა“. პრობლემა არა „სონის“ მაგნიტოფონების თუ ნანოტექნოლოგიების წარმოების უნარში ან მეცნიერების პრიორიტეტულ დაფინანსებაშია. პრობლემა საკითხისადმი, საქმისადმი მიდგომაშია, ერთგვარ ქართულ „განწყობის თეორიაშია“, დისციპლინირებულ სისტემაშია. პრობლემა ერთი მსახიობის თეატრშია ან თეატრში, რომლის სცენაზეც მხოლოდ ძველი და ახალი გვარდიის შერკინება თამაშდება; პრობლემა განა ზომასა და რაოდენობაშია, არამედ – შინაარსსა და ხარისხში. მხოლოდ რაოდენობაზე ორიენტაციამ თავად იაპონელებიც მიიყვანა მძიმე შედეგამდე – „ტოიოტას“ ტექნიკურ გაუმართაობამდე, ამ კომპანიის ავტომობილების არაფორმალურ დისკრედიტაციამდე და მრავალმილიარდიან ზარალამდე.

წინა საუკუნეში, როცა ერთ-ერთ ამერიკულ ქალაქში საავტომობილო ქარხანა „ჯენერალ მოტორსი“ გაკოტრდა და დაიხურა, ამერიკელები გამოცდილების გასაზიარებლად და სასწავლებლად იაპონიის ერთ-ერთ საავტომობილო ქარხანაში გაემგზავრნენ. ერთ მშვენიერ დღეს მანქანის აწყობის ორ კონვეირზე ამერიკელებმა და იაპონელებმა ერთგვარი შეჯიბრიც კი მოაწყვეს და... სტუმრები შოკში ჩავარდნენ. ძალიან გაუკვირდათ იაპონელების დამოკიდებულება არა მარტო საქმისადმი, სუპერვაიზორ-კოლეგებისადმი, არამედ – კონკურენტებისადმიც. თუ იაპონელების კონვეირზე რაიმე პრობლემა იქმნებოდა, „ზედამხედველი“ ისედაც იქვე იყო, იგი ერთ-ერთი მათგანი იყო და მუშას საყვედურებით კი არ ავსებდა, საკუთარ სტატუსს კი არ „იმკვიდრებდა“, არამედ რეალურად ეხმარებოდა და თან მას რჩევასაც ეკითხებოდა: როგორ ფიქრობ, რაა საჭირო ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმისთვის, რომ შენც და კონვეიერმაც უკეთესად იგრძნოთ თავი, უკეთესად იმუშაოთო? ის კი არა, ამ „კონვეირული კონკურსის“ დროს, როცა ამერიკელებს თავიანთ კონვეიერზე რაღაც უჭირდათ, იაპონელები მათაც კი ეხმარებოდნენ... ამ და, ალბათ, არა მარტო ამ კონკრეტულ ქარხანაში პრინციპი „ერთი – ყველასათვის და ყველა – ერთისათვის“ მოქმედებდა. მაგრამ არა ქვის ხანის – ინკვიზიციურ – ძველბიჭური, გნებავთ, კამიკაძური პრინციპით ან მაფიოზობანას თამაშის სცენარით, არამედ – ერთმანეთზე და საქმეზე ორიენტაციის ფილოსოფიით. ამისთვის კი ადამიანებს, როგორც მინიმუმი, წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, თუ რას ნიშნავს „ერთმანეთი“ და რას – „საქმე“. ამგვარი ორიენტაციის ქონა-არქონა, რომელიც, ფაქტობრივად, ყოფნა-არყოფნასაც ნიშნავს, ჩვენებური, ქართული პროგრამის განსკუთრებული ნომერია. „ვირზაზუნას დღეში“ 2 თებერვალი 34-ჯერ დგება. ჩვენც რა გვეჩქარება? ხვალაც ხომ ამ თვის, წლის, საუკუნისა და ათასწლეულისაა...

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

◉ სარედაქციო ფოსტიდან

# ტორჟოკის წმინდა მიქაელის ეკლესია ქართველმა კაცმა განაახლა

ორიოდე დღეა, რაც პეტერბურგიდან დავბრუნდი. ბიძაჩემი იქ 50 წელიწადია ცხოვრობს. ამ ბოლო დროს ავადმყოფობს და მონახულება გადავწყვიტე. იქ ჩასულმა ძველი მეგობრები მოვინახულე, ერთად ვსწავლობდით ასპირანტურაში. ერთ-ერთმა მათგანმა, იგორ დუბავიკმა, ტვერში გასეირნება შემომთავაზა. ასე აღმოვჩნდი ტვერის ოლქის ქალაქ ტორჟოკში, იგორის ცოლისძმის ოჯახში.

მასპინძელმა კარები რომ გაგვიღო, მივხვდით, რომ მთელი ოჯახი სადღაც გასამგზავრებლად იყო გამზადებული. — აქვე მივდივართ, ეკლესიაში — გვითხრა მასპინძელმა. — თუ გნებავთ, დაგველოდეთ და მალე დავბრუნდებით, ისე კი, თუ ჩვენთან ერთად წამოხვალთ, გაგვახარებთო.



გზას ფეხით გავუყევით და რამდენიმე წუთში მიქაელ მთავარანგელოზის ტაძართან მივედით. გარეთ ხალხი ირეოდა, ტაძარი მრევლით იყო სავსე. ტორჟოკის მცხოვრებნი და მრევლი სასიხარულო შენაძენს აღნიშნავდა. ტაძრის შიგნით და გარეთ სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა. გუმბათი ახალ ფერებში აელვარდა, ხოლო ტაძრის შიგნით წარწერებიც აღადგინეს. სულ ახლახან სამრეკლოში ახალი ზარი დაუკიდიათ, რომელიც 100 ფუთს იწონის. იგი იაროსლავის ოლქში ჩამოასხეს სპეციალური მეთოდის გამოყენებით. — ეს ზარი ტორჟოკის საეკლესიო ზარებს შორის ყველაზე მძლავრი იქნება, — გვეუბნება ჩვენი მასპინძელი.

ტაძარს სამღვდელოების წარმომადგენლები მოუახლოვდნენ. ყველამ მოწიწებით უკან დაიხია, ჩვენც მათ მივბაძეთ. ზარის საკურთხებლად და ქალაქის მრევლის სიხარულის გასაზიარებლად ტორჟოკში ტვერისა და კაშინსის არქიეპისკოპოსი ვიქტორი ჩამოვიდა.

იგორის ცოლისძმა ახლობლებს გვაცნობს. რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, ერთმანეთს არ აცლიდნენ მადლობის თქმას. ცოტათი დავიბენი, თუმცა მალე მივხვდი, რაშიც ყოფილა საქმე. — ეს ტაძარი პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა კაცმა გაგვირემონტა, ახალი ზარიც მან შეუკვეთა. ღმერთმა დალოცოს იგი, — მეუბნება ჯოხს დაყრდნობილი ხანდაზმული ქალბატონი და მადლობის ნიშნად მე მიხრის თავს.

მიხაილოვის ტაძრისთვის და მთლიანად ტორჟოკის მორწმუნე საზოგადოებისთვის ეს სასიხარულო მოვლენა შესაძლებელი გახდა ტაძრის სიწმინდეების განახლებაში „ტალიონ-ტერას“ გენერალური დირექტორის, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, ბატონ ალექსანდრე ებრალიძის მონაწილეობით. მას ტვერის ოლქის ამ პატარა ქალაქში დიდ პატივს სცემენ. ტორჟოკი დამსახურებულად ამაყობს ხის გადამამუშავებელი უნიკალური საწარმოთი, რომელიც ასევე ალექსანდრე ებრალიძემ ააგო. ამ საწარმოს პროდუქცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

პეტერბურგში დაბრუნებულმა ადგილობრივ გაზეთებში ტორჟოკის ტაძრის შესახებ



რამდენიმე სტატია წავიკითხე. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ პატარა პუბლიკაციით ქართველი მკითხველისთვისაც მომეთხრო იმ მადლიანი საქმეების შესახებ, რომელსაც ჩვენი თანამემამულე, ბატონი ალექსანდრე ებრალიძე რუსეთში ეწევა. ტორჟოკის ტაძრის ყველაზე მძლავრი ზარის აგუგუნება მის მრევლს მუდამ გაახსენებს ქართველ კაცს, რომელმაც მათ ეს სიხარული აჩუქა.

**ბექა ლიპარტელიანი.**

**სურათებზე:** ტორჟოკის წმ. მიქაელის ეკლესია; ეკლესიის ახალი ზარი.

◉ მოყვარეს პირში უძრახე...

# დიდ ფეხბურთს, როგორც წესი, პიროვნებები, დიდი კაცები თამაშობენ!

## ანუ გულისტკივილი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრთა ერთი „არასაფეხბურთო“ ქცევის გამო, რომლითაც, ცხადია, სულაც არ ვაკნინებ მათს ვაჟკაცურ შემართებას და, იმედია, ისინიც არ მიიღებენ საწყენად

**26 მარტს მართლაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია-სირცხვილის შემდეგ, პირველი, მართლაც საზეიმო, მოვლენა იყო მრავალი თავსმოხვეული, ნაძალადევი ტაშფანდურა ღონისძიებისგან განსხვავებით, რომელთა მსგავსი არა ერთი გვინახავს პომპეზური კონცერტების თუ სხვა ღონისიებების სახით.**

ამიტომაც ბედნიერი ვიქნებოდი, რომ წინამდებარე წერილში მხოლოდ „პაიჭაძეზე“ დიდი ფეხბურთის(???ძ დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის შესახებ მესაუბრა. სიხარულის და სიამაყის, რომლითაც ასე განებივრებულები ვიყავით ყოველთვის. იმავე ბორია პაიჭაძით დაწყებული, ბასა ღოღობერიძით, მიშა მესხით, სლავა მეტრეველით, შოთა იამანიძით გაგრძელებული და დავით ყიფიანის, ვიტალი დარასელიას თაობით დამთავრებული (ყველას ვინ და რა ჩამოთვლის. ამიტომ მათმა სულებმა შემინდონ, ვინც არ დავასახელე. ცოცხლებზე შეგნებულად არაფერს ვამბობძ, ანუ „საზიზღარ საბჭოეთში“ მცხოვრებ ყველა თაობას ჩვენ-ჩვენი




წილი მართლაც დიდი, მსოფლიო დონის ფეხბურთი გვქონდა.

ამიტომაც ალბათ გასაგებია ზემოთ დასმული 3 კითხვის ნიშანი — ჩემთვის, ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი (და უფრო მეტი, არჩამოთვლილიძ ფეხბურთელების უმრავლესობა პირადად მინახავს მწვანე მინდორზე, „დიდი ფეხბურთი“ ცოტა სხვა განზომილებაა. ვფიქრობ, ეს ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე ხორვატეთის მძლეველი ბიჭებისთვისაც ცხადია და არა საწყენი — ზემოთ ჩამოთვლილი გენიალური ხალხის ფონზე ცხადია, რომ მათი ფეხბურთი ჯერ ბევრად ჩამორჩება მართლაც დიდ ფეხბურთს. თუმცა ამით მათი დამსახურების იგნორირებას არ ვაპირებ — რაც შეეძლოთ, ის ითამაშეს, როგორც იტყვიან, მინდორზე გული დადეს, ცოტა იღბალმაც გაგვიმართლა და ღირსეულად გავიმარჯვეთ, რასაც მთელ საქართველოს გულით ვულოცავ, მაგრამ...

აი ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი „მაგრამ“ არის, ყველაფერს რომ თავდაყირა აყენებს — ეს თაობა და ის, „ჩემი“ დიდი ფეხბურთის თაობები (და არა მხოლოდ ქართული ფეხბურთისძ, სამწუხაროდ, როგორც გამოჩნდა, მხოლოდ ფეხბურთის დონით კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, არამედ...

ის დიდი ფეხბურთელები, როგორც წესი, პიროვნებები, კაცებიც იყვნენ. რაც დამატებით ხიბლს სძენდა მათ ნათამაშევ დიდ ფეხბურთს. რა თქმა უნდა, მაშინაც იქნებოდა თითო-ოროლა მახინჯი, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიდნენ და პაიჭაძიდან დაწყებული, ვიდრე „ყიფომდე“, დიდ ფეხბურთელობასთან ერთად, კაცების გუნდებადაც იცნობდნენ.

თვით ფეხბურთის მეფედ აღიარებულ პელეზე მეტად საკუთარ სამშობლოში მანე გარინჩაა აღიარებულიც და დაფასებულიც არა მხოლოდ დიდი ოსტატობის, არამედ კაცობის გამოც. დღემდე ახსოვთ ბრაზილიელებს, როგორ არ მიბრძანდა ფეხბურთის მეფე გარინჩას დაკრძალვაზე. აგრეთვე ისიც, თუ რა სიღარიბეში ამოხდა სული გარინჩას. კაცს, რომელმაც 1958 წლის მუნდიალის შემდეგ (როცა პირველი დიდი ფული იშოვაძ სამშობლოში დაბრუნებულმა ნაცნობ ბარში მთელი უბნის „ნისიები“ გადაიხადა. მის საფლავს კი ერთი „უბრალო“ წარწერა ამშვენებს: მანე გარინჩა — ერის სიხარული!

ან დიეგო მარადონა ავიღოთ, რომლის წინააღმდეგაც მის მოშურნეებს ერთადერთი „არგუმენტი“ — მისი კოკაინთან „შეხუმრება“ აქვთ. მე კი მის იგავმიუწვდომელ ოსტატობასთან ერთად ისიც მახსენდება, როგორ ჩავიდა თავის დროზე ნეაპოლში ლამის ასკაციანი „ამალით“. წლების მანძილზე აცხოვრა საკუთარი ხარჯით ნათესავები თუ ბავშვობის მეგობრები. და კიდევ ის, თუ როგორ თქვა კატეგორიული უარი უკვე აქ თბილისში, პრაქტიკულად ცარიელი ტრიბუნების წინ გამოსვლაზე. იმის მიუხედავად, რომ კუთვნილ ჰონორარს ისედაც აიღებდა, ჩვენი გალორებული ჩინოვნიკები აიძულა გარეთ დარჩენილი გაჭირვებული ხალხი სტადიონზე უფასოდ შემოეშვათ!

ზინედინ ზიდანი? ამ კაცმა ყველა ფეხბურთელის საოცნებო მუნდიალის ფინალში(!!!ძ, სადაც დიდი ალბათობით მეორედ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი, თუმცა იცოდა, რომ არ აპატიებდნენ და მინდვრიდან გააძევებდნენ, უწინარესად კაცობას არ უღალატა და ისეთი თაური „აჭამა“ იტალიელ თავხედს, ყარაჩოღელ გიჟუას შეშურდებოდა.

ჩვენი დათო ყიფიანისაც ვთქვათ: გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ანუ მაშინ, როცა „ყიფო“ კარიერის ზენიტს უახლოვდებოდა, დათომ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ახალკაცმა, მისი ძმაკაცების მისვლა აკრძალა დილმის ბაზაზე. ჰოდა, დათომაც დიდ ფეხბურთს, დიდი სამეგობრო არჩია და მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, ნალდ „გრუზინ“ შოთა გორგოძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა დათო ფეხბურთში დაბრუნებულიყო. რა თქმა უნდა, არა სამეგობროს ხარჯზე. „ყიფოს“ უშურველობაზე, საკუთარი ახლობლების გვერდში დგომის უნარზე ხომ დღესაც ლეგენდები დადის!

ჩამოთვლილი მაგალითებიდან ყველა სხვადასხვა ხასიათისაა, მაგრამ ყველას ერთი რამ აქვს საერთო — ასეთ რამეებს მხოლოდ დიდი კაცები, პიროვნებები სჩადიან!!!



„ამათ“ კი რა ქნეს? საკუთარი თანაგუნდელი გიორგი დემეტრაძე ჯერ შარშან დაუჭირეს და წელს, ზუსტად საქართველო-ხორვატეთის მატჩისწინ, აბსურდული ბრალდებით — „ქურდული სამყაროს წევრობა“ — გაასამართლეს და 6 წელი მიუსაჯეს.

კახი კალაძის მეტი კი კაცი არ აღმოჩნდა (ქეცბაიას ჩათვლითძ, თანაგუნდელს, მეგობარს გამოსარჩლებოდა. კაპიტანმა — კრიმინალებმა მიიღეს გადაწყვეტილება და რა კომენტარი უნდა გავაკეთოო. სხვათა შორის კახი კალაძე, როგორც ამბობენ, იმთავითვე იყო ჩართული მეგობრის დახსნის საქმეში. გამოსასყიდის (ესენი



რომ საპროცესო გარიგებას ეძახიანძ გადასახდელადაც მზად ყოფილა, მაგრამ...

დანარჩენებმა „პირში წყალი ჩაიგუბეს“. ისიც ვერ გაბედეს, ეთქვათ — „დემე“ ქურდულის კი არა, საფეხბურთო სამყაროს წევრიაო. ახლა არ დამიწყონ გაცვეთილი და უაზრო სიტყვების რახარუხი — ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს და ა.შ. რომლების ერთადერთი „აზრი“ საკუთარი კონფორმიზმის შენიღბვაა. როდესაც საზოგადოებაში ცნობილი, პოპულარული და დაფასებული ხარ (მსახიობი იქნები, პოეტი თუ სპორტსმენიძ, იმ საზოგადოებას შენს „ლექსებზე“ არანაკლებ (იქნებ მეტადაცძ აინტერესებს მისთვის სათაყვანებელი ადამიანის დამოკიდებულება და აქტიური, შემტევი პოზიცია საქვეყნო სატკივარის მიმართ.

მთელი თბილისის ქუჩები „ვარსკვლავებით“ რომ მოკირწყლეს, იმ ვარსკვლავების უმრავლესობა ისევე რომ ხმაურობდნენ, როგორც ასფალტზე ბრჭყვიალებენ, ვინძლო, ცოტა უფრო უკეთეს ქვეყანაში გვეცხოვრა!

ფეხბურთშიც ასეა მამავ და შვილო, დიდ ფეხბურთელობასთან, ვარსკვლავობასთან ერთად, კაცობაზეც თუ გაქვს პრეტენზია, მაშინ გამარჯვებებსაც მეტი ფასი და ხიბლი ექნება. თუმცა არც ახლაა გვიან. მე კი განგსაჯეთ (რაზედაც ღმერთს შენდობას ვთხოვ. განსაკუთრებით ამ მძიმე მარხვაშიძ, მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! სურვილის და გამბედაობის შემთხვევაში კიდევ შეიძლება „დემეს“ დახმარება. თორემ სხვანაირად ღმერთს რა პასუხს აძლევთ იმის გამო, რომ მაშინ, როდესაც გადაჭედილი ტრიბუნების წინ გამარჯვებას ზეიმობდით, თქვენი თანაგუნდელი და ზოგისთვის, ალბათ, ძმაკაციც, ციხეში იტანჯებოდა?!

**დავით მხეიძე**

ცრუ მოლოდინი

# ყურცქვიტა ბიუროკრატები

## მერიას წერილი მივწერე...

**მკითხველი თავიდანვე რომ არ დამებოლმა და თბილისის მერიის თავკაცთათვისაც განწყობა ერთბაშად არ გამეფუჭებინა, წერილს „ალერსიანი" სათაურით — „ყურცქვიტა ბიუროკრატები" მივეცი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სხვა სახელის, ვთქვათ, „გადემოკრატებული ბიუროკრატების" ან „დემოკრატიის უნიფორმაში გაპრანჭული ბიუროკრატების" დარქმევა, მაგრამ ვიცი „ყურცქვიტობა" უფრო ემამებოდათ. ისინი ხომ მართლაც ერთთავად „დაცქვეტილები" არიან, რომ დედაქალაქელთა გასაჭირიდან თუკი რაიმეს ყური მოკრეს ან ვინმემ რაიმე სიგნალი მიაწოდათ, ურეაგირებოდ და უპასუხოდ არ დატოვონ.**

უამრავთაგან, მკითხველის ყურადღება რომ არ გადავტვირთო, მხოლოდ ერთს დავასახელებდი. დარწმუნებული ვარ, ყველას ახსოვს, არჩევნების წინა პერიოდში მეროპის კანდიდატი გიგი უგულავა როგორი გაფაციცებით ისმენდა კონკურენტი კანდიდატის საპროგრამო სიტყვებს: იმ შემთხვევაში თუ მე ამირჩევთ თბილისის მერად, გპირდებით, რომ დენის გადასახადი გახდება 5 თეთრი, გაზისა — 10 თეთრი, ხოლო წყალი უფასო გექნებათო. რა პრობლემა არისო, ხელების შლით გვარწმუნებდა ბატონი გიგი, ყველა საკითხს, რასაც ოპონენტები აყენებენ, მათთან ერთად განვიხილავთ და ისე გადავწყვეტთ როგორც თბილისელებს გაუხარდებათო. **აკი გადაწყვიტეს კიდეც — დენისა და გაზის ტარიფისთვის კაპიკიც არ მოუკლიათ, ხოლო წყლის გადასახადი კაი გვარიანად გაზარდეს.**

რამდენად გაიხარეს თბილისელებმა წყლის მოხმარების საფასურის გაზრდით, ამის ახსნა-განმარტებით თავს აღარ შეგაწყენთ, იმას კი ვერ ავუვლით გვერდს, რაც ერთ ჩემს კოლეგას, გაზეთ „თანადგომის" გამომცემელ-რედაქტორს **ანზორ ბაბუხადიას** მერიაში გაგზავნილი ერთი უწყინარი წერილის გამო გადახდა. თუ რა გადახდა, ამას თავად მიყვება, თანაც რამეში ეჭვი რომ არ შემეპაროს, მაგიდაზე ქალაქის თავკაც **გიგი უგულავასა** და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილისთვის გაგზავნილი წერილებისა და იმათგან მიღებული პასუხების „ქსეროქსით" გადაღებულ ასლებს მიწყობს.

მაინც რაზეა საუბარი მთელ ამ მიმოწერაში, არ გაინტერესებთ?

— არაფერი განსაკუთრებული, მით უფრო შეურაცხმყოფელი იმ წერილში, რომელიც 2010 წლის 18 ივნისს გავუგზავნე გიგი უგულავას და ზაალ სამადაშვილს, არ არის, — ამბობს ანზორ ბაბუხადია, — უბრალოდ, როგორც ჩვენი ქალაქის გულშემატკივარმა და კეთილმოსურნემ, არჩევნებში გამარჯვება მივულოცე, რაც კარგი გააკეთეს, ის შევუქე, ხოლო ჯერ კიდევ გასაკეთებელზე — საკუთარი მოსაზრებანი და პირადი დახმარება შევთავაზე.

**— შესაქები რა გააკეთეს?**

— რატომაც არა, მათი მოღვაწეობის პერიოდში ქალაქი ქალაქს დაემსგავსა, მარტო კეთილმოწყობილი გზები, საბავშვო მოედნები, სკვერები, ქვეითად მოსიარულეთა ხიდები რად ღირს. ამის დაუნახაობა არ შეიძლება, მაგრამ არც იმისი, რაც ჯერ არ გაკეთებულა, ან გაკეთდა, მაგრამ ისეთი ხარვეზებით, რომლის უთქმელობაც დანაშაულის ტოლფასია.

**— რას გულისხმობთ?**

— ავიღოთ თუნდაც სანიაღვრე კოლექტორები (წყალმიმღებებიძ, რომელთა მოწყობაზე დიდი შრომა და თანხები დაიხარჯა, მაგრამ რად გინდა, **იშვიათად შეხვდებით სანიაღვრე ორმოებს, რომლებიც ნაგვითა და ღორღით ამოვსებული არ იყოს.** თუ მათი სისტემატური გაწმენდის პრობლემა არ გადაწყდა, ჩათვალეთ, რომ მათზე გაწეული შრომა და ხარჯები ნიაღვარსავით იქნება გატანებული.

სერიოზული სამუშაოები შესრულდა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების გადახდის მექანიზმის დასახვეწად, ავტოტრანსპორტის გაჩერებების მოწყობისა და მსუბუქი ავტომანქანების პარკინგის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე მაინც ვერ მივიდა. **დედაქალაქის 4-5 ქუჩის გარდა, ვერ ნახავთ ავტობუსის გაჩერებას, რომ ის გადატვირთული არ იყოს მსუბუქი მანქანებით, რაც აფერხებს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.** აღარაფერს ვამბობ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების საშუალებებისა და საბავშვო ეტლების სავალი ნაწილების არარსებობაზე.

**ქართული ენის ნორმების დაცვის უგულებელყოფის გამო, კატასტროფული მდგომარეობაა ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში სარეკლამო აბრებისა და ფირნიშების თვალსაზრისით.** ამ პრობლემისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება ეროვნული დანაშაულის ტოლფასია, მით უფრო ,რომ საკანონმდებლო ბაზა არსებობს და მის შესრულებას მინიმალური ყურადღება მაინც უნდა ეთმობოდეს.

ზოგიერთების აზრით, ჩვენ ევროპას, განსაკუთრებით კი „საწყალ" შვეიცარიას, სამოქალაქო ქცევის კულტურით, მინიმუმ ერთი თავით მაინც ვუსწრებთ, რაც, დამეთანხმებით, მტკნარი სიცრუეა და ამაზე საუბარი უბრალოდ უხერხულიც კია. **იმის მიუხედავად, რომ ქალაქის სანიტარიულ დასუფთავებაზე უზარმაზარი ენერგია და რესურსები იხარჯება, თბილისი „სისუფთავის ქალაქის" ნაცვლად, დღემდე მყარად ინარჩუნებს ბოლოდან სამარცხვინო პირველ ადგილს.**

**— რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ სირცხვილს თავი დავაღწიოთ?**

— დედაქალაქში სანიტარიული წესრიგის დამყარების ერთადერთ რეალურ გზად მესახება შესაბამისი სპეციალური პოლიციური სტრუქტურის ჩამოყალიბება. მისი სწორი და ეფექტური ფუნქციონირების პირობებში, სერიოზული საჯარიმო სანქციების შემოღებით, იგი საკუთარ თავსაც შეინახავს და დედაქალაქში საჭირო წესრიგსაც დაამყარებს.

**— კიდევ რა საკითხებს აყენებდით, ბატონო ანზორ?**

— ყველას სად ჩამოვთვლი. **პირადად მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ რომელიმე ევროპულ ქალაქში (თვით რუსეთშიც კი) მუშაობის პროცესში სიგარეტს ეწეოდეს მეტროს მემანქანე, სამარშრუტო ავტობუსისა თუ მსუბუქი ტაქსის მძღოლი. სამწუხაროდ, ჩვენთან ამას მასობრივად აკეთებენ.** არც ის მინახავს, თოთოჩბავშვიანი ქალი ან მამაკაცი მსუბუქ ავტომანქანაში მძღოლის გვერდით სავარძელზე ჯდებოდეს, ან თავად მძღოლი გვერდით ისვამდეს მცირეწლოვანი ასაკის ბავშვებს.

უცხოეთში ყველას გინახავთ, ქალაქების სკვერებში, პარკებში, ქუჩებსა და ხალხის თავშეყრის ადგილებში საზოგადოებრივი და, წარმოიდგინეთ, ძაღლების ტუალეტებიც კი, ჩვენთან კი ამ მხრივ რა მდგომარეობაა, ყველას კარგად მოეხსენება. ამასთან, **მომწიფდა სიტუაცია, რომ რეალური ღონისძიებები განხორციელდეს თავად მერიის და საკრებულოს, პარლამენტის, მთავრობის, სასამართლო შენობებში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, სპორტულ და გამაჯანსაღებელ ორგანიზაციებში, მრავალ სხვა სტრუქტურაში სიგარეტის მწეველთა მიმართ.** განა ამაზრზენი არ არის, რომ ხშირად სკოლაში პედაგოგი თავის მოსწავლეს თხოვს სიგარეტს? ვერავინ დამიჯერებს, რომ ამ და სხვა სამარცხვინო ჩვევათა აღსაკვეთად მერიას ხელი არ ეწიფება.

**— მერედა ამის თაობაზე არაფერი მოიწერეს?**

— როგორ არა, ჩემი წერილის გაგზავნიდან თითქმის თვენახევრის შემდეგ, — მეუბნება ბატონი ანზორი, — საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილისგან მივიღე ეს პასუხი: **„მადლობელი ვარ, რომ რეალურად აფასებთ ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოს,** — ვკითხულობთ მასში, — **რაც შეეხება თქვენს წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს ჯერ კიდევ გასაკეთებელ საქმეებზე სხვადასხვა სფეროში, მოგახსენებთ, რომ საკრებულოში შექმნილი შესაბამისი კომისიები აუცილებლად გაეცნობიან და გაითვალისწინებენ თქვენს თვალსაზრისს ამა თუ იმ პრობლემაზე მუშაობისას". იქვე აღნიშნულია, რომ აპირებენ „საზოგადოებრივი საბჭოს გადახალისებას და გაფართოებას, სადაც მიიწვევენ ქალაქის გულშემატკივარ, აქტიურ ადამიანებს, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ვისაც არც ცხოვრებისეული გამოცდილება აკლია და არც სურვილი, რომ ჩვენი ქალაქის პრობლემები დროულად მოგვარდეს. მოხარული ვიქნები, თუკი მონაწილეობას მიიღებთ საბჭოს მუშაობაში".**



აგაშენათ ღმერთმა, სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ ანზორ ბაბუხადია, გავიფიქრე, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების და საქართველოს მთავრობის სხვადასხვა სამსახურების უფროსად. თუკი ვინმეს გამოცდილების გაზიარება და თანადგომა სჭირდება, ამაზე უკეთესს სად იპოვის, ჰოდა ვეკითხები:

**— ბატონო ანზორ, დღემდე არ მიუწვევიხართ იმ საბჭოში, რომლის მუშაობის გადახალისებასაც აპირებენ?**

— მიწვევას ვინ ჩივის, ბატონო, წერილში ჩემს მიერ დასმულ საკითხებზე თუ რის გაკეთებას აპირებენ, ნორმალური პასუხიც არ მაღირსეს. **მხოლოდ ორი თვის თავზე მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის გიორგი ლიპარტიასგან მივიღე „მცირე განმარტება", რომ შპს „სანიაღვრე მეურნეობის" სპეციალისტთა მიერ საჭიროებისამებრ ეტაპობრივად ხდება ჭების გასუფთავება".** იძულებული გავხდი, ბატონ გიგი უგულავასთვის მიმეწერა მეორე წერილი, რომელშიც სინანულს გამოვთქვამდი, რომ ხსენებული წერილი არ მოხვდა არც ერთ მეტნაკლებად მოაზროვნე პიროვნებასთან, თორემ ორ თვეზე მეტი არ დასჭირდებოდა ისეთი აბსურდული პასუხის გამოგზავნას, რომელშიც ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები წერილში ჩამოთვლილ უამრავ პრობლემასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ თურმე „ეტაპობრივად ხდება ჭების გასუფთავება"(!)ძ.

**— ალბათ, ამ წერილის შემდეგ მაინც დაფაცურდა ბატონი გიგი!**

— აბა კაცო, თურმე ჯავრისგან აღარ იყო — ეს როგორ დამემართა, რომ ანზორ ბაბუხადიას საკადრისი პასუხი ვერ გავუგზავნეო. ჰოდა ამ უხერხულობისგან რომ მეხსნა, არ დავიზარე და ბატონ მერს მესამე წერილიც ვაახლე, რომლის შემდეგ მივიღე მეორე პასუხი, ამჯერად უკვე ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ნესტორ არჩუაძის ხელმოწერით, რომელიც პირველი პასუხის მსგავსად იყო ტრაფარეტული და არაფრის მთქმელი. ელემენტარული წესია, რომ როცა წერილში დასმული პრობლემები კომპლექსურია და სხვადასხვა სამსახურებს ეხება, მასზე პასუხიც უნდა იყოს კომპლექსური და მას ხელს აწერდეს არა რომელიმე სამსახურის უფროსი ან მოადგილე, არამედ, როგორც მინიმუმი, ქალაქის მერის რომელიმე მოადგილე მაინც.

**— ამის თაობაზე არაფერი მისწერეთ?**

— როგორ არა, სათქმელი მორიდებით შევაპარე: არ გაბრაზდეთ და არ ჩათვალოთ, რომ თქვენ ჭკუას გარიგებთ ვიღაცა პენსიონერი, მაგრამ ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემს მიერ დაყენებული საკითხები არის არა პირადული, არამედ საზოგადოებრივად აქტუალური და წონადი-მეთქი. ამიტომ კიდევ ერთხელ შევთავაზე, პირადად თუ არ სცალია, რამდენიმე წუთით მაინც შემხვდეს მერიის რომელიმე კომპეტენტური პირი და მას პირადად ვესაუბრები უამრავ ტკივილზე, რაც დღეს თბილისელებს აწუხებს-თქო.

**— არა უშავს, გული არ გაიტეხო, — ვანუგეშე პენსიონერი, მაგრამ საქვეყნო საქმეთა საკეთებლად კვლავაც შემართული, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე და გაზეთ „თანადგომის" გამომცემელ-რედაქტორი ანზორ ბაბუხადია, რომელმაც, როგორც სჩვევია ხოლმე, თანადგომა შესთავაზა დედაქალაქის მერიის თავკაცებს, მაგრამ მათ „ყურცქვიტა ბიუროკრატებისთვის" დამახასიათებელი ელიტარული ჟესტიკულაციით გამოისტუმრეს. თუმცა, არა მგონია, მთლად უსაქმოდ დატოვონ. თბილისის მერიასთან ერთიანი მართვის ცენტრი იქმნებაო, განაცხადა ამას წინათ გიგი უგულავამ და სულაც არ გამიკვირდება, თუ იმ ცენტრში დედაქალაქელთა შეჭირვებით გულდამწვარი მერიელები საკონსულტაციოდ კვალიფიციურ, გამოცდილ სპეციალისტებს მიიწვევენ(!).**

**ოთარ ხუციშვილი**

თემის გაგრძელება

# დაიშალნენ, რათა... არ დაიშალონ!

(პირველი გვერდიდან)

როგორც ავთანდილ ბერიძემ განაცხადა, რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია გუშინდელი მონაცემებით 38-მა კაცმა დატოვა. მოსალოდნელია, რომ ეს რიცხვი გაიზრდება. „საქართველოს რესპუბლიკის" შეკითხვაზე — **რამ გამოიწვია პარტიის წევრების მიერ ორგანიზაციების დატოვება, ავთანდილ ბერიძემ განაცხადა: ამის მიზეზი ძირითადად არის პარტიის ცენტრალური მმართველობისა და აჭარაში არსებული ორგანიზაციების წევრების იდეოლოგიური შეუთავსებლობა.**

შეკითხვაზე — ხომ არ არის ეს მურმან დუმბაძის მიმართ სოლიდარობის აქცია? — ბერიძემ უპასუხა: **ეს არის სოლიდარობის აქცია საქართველოს მიმართ.** ჩვენ, „რესპუბლიკური პარტიის" აჭარის ორგანიზაციის წევრები, ერთი გუნდი ვიყავით. ჩვენ არაერთი მძიმე დღე გადაგვიტანია საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნის წარმატებებისთვის. ჩვენ არ ვაპირებთ დავიშალოთ. უახლოეს დღეებში გაიგებთ, რომ **შევქმნით არაპოლიტიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის მიზანი საქართველოს ძლიერებისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლა იქნება. პირადად მე პარტია 26 მარტს დავტოვე.**

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველმა იცის, სკანდალი რესპუბლიკურ პარტიაში მას შემდეგ აგორდა, რაც პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ მურმან დუმბაძე 18 მარტს პარტიიდან გარიცხა. აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პარტიიდან მოკვეთას საფუძვლად დაედო ის, რომ **იგი არღვევდა პარტიულ დისციპლინას და დაუმორჩილებლობას უცხადებდა ორგანიზაციის აღმასრულებელ სამდივნოს.**

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, მურმან დუმბაძე საჯარო გამოსვლებში გმობდა საქართველოსა და თურქეთის მოსალოდნელ ხელშეკრულებაში შესატან მუხლებს იმის თაობაზე, რომ ტაო-კლარჯეთში არსებული, დანგრევის პირას მისული ეკლესიების აღდგენის სანაცვლოდ ბათუმში აშენდეს ერთი ახალი მეჩეთი და გარემონტდეს სამი მუსულმანური სალოცავი. ჩვენთან საუბარში მურმან დუმბაძემ განაცხადა, რომ მოსალოდნელი ხელშეკრულება საქართველოსათვის დისკრიმინაციული და სამარცხვინოა, რადგან თურქეთის მხარე ულტიმატუმის სახით აყენებს პირობებს.**

მურმან დუმბაძე თვლის, რომ აზიზიეს სახელობის მეჩეთის აშენება საქართველოში — ეს იქნება ოტომანთა დღეს არარსებული იმპერიისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ძეგლის დადგმა;

მაშ ასე, „რესპუბლიკური პარტიის" აკვანი — აჭარის ორგანიზაცია აღარ არსებობს. საინტერესოა, ამ დანაკარგის შესავსებად, რას მოიმოქმედებენ უსუფაშვილ-ხიდაშელის და ძმები ბერძენიშვილების ტანდემები.

**ამირან კილურაძე,**
„სრ"-აჭარა-გურიის რეგიონული
საკორესპონდენტო პუნქტის ხელმძღვანელი.

მცირე ბიზნესი

# ეროვნული ეკონომიკის „შაგრენის ტყავი“

**სტატისტიკური მონაცემებით, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საწარმოო სფეროში დასაქმებულთა უმრავლესობა მცირე და საშუალო საწარმოებში მუშაობს. კიდევ ერთი მონაცემით, მსხვილ საწარმოებში, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, მცირეებთან და საშუალოებთან შედარებით, ნაკლებ ცვლილებებს ახდენენ და ნაკლები სიახლე შემოაქვთ.**

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადი სურათია. სხვადასხვა ქვეყანაში კი, კერძოდ, საქართველოში, მას გარკვეული თავისებური ნიშნები გააჩნია. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შრომის ბაზრის გარკვეული შეზღუდულობის გამო, მოთხოვნა უმეტესად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირებულ მუშახელზე მოდის. ამას, თუნდაც ის ადასტურებს, თავის დროზე „ბრიტიშ პეტროლეუმს“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის შემდუღებლებიც კი ჩამოჰყავდა — ადგილობრივ სპეციალისტებს საჭირო კვალიფიკაცია არ აქვთო.

რას ვიზამთ, მაღალანაზღაურებადი სამუშაო მაღალ კვალიფიკაციას საჭიროებს. ამასთან, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საწარმოებს, გნებავთ ოფისებს, ამ ტექნიკასთან „გაშინაურებული“ პერსონალი სჭირდება. ჩვენთან კი რა ხდება? ბოლო წლებში ჩვენში „ვარდების მათრახით“ სამსახურიდან ძველი, უმეტეს წილად საშუალო და უფროსი ასაკის სპეციალისტთა მოურიდებლად დათხოვნის სრულიად უგვანო პრაქტიკა დამკვიდრდა, მათ ადგილებზე მოვიდა ახალგაზრდობა, რომლის უმრავლესობას არც სათანადო გამოცდილება აქვს და არც ჯეროვანი მომზადება. არადა, სადღეისოდ ჩვენს მწირ შრომის ბაზარსაც კი გარკვეული მოთხოვნილებები აქვს, რომელთა შესაბამისად დასაქმების მსურველთათვის საჭიროა როგორც ახალი პროფესიების ათვისება, ისე ძველებში კვალიფიკაციის ამაღლება, მაგრამ სამწუხარო სინამდვილე ისაა, რომ ამაზე სათანადოდ არც ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს და არც კერძო კომპანიები (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

არადა, სინგაპურში, რომლის ეკონომიკურად დამსგავსებას ასე ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ასი უფასო (!) სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. მარტო თბილისის მერიის ფაქტობრივად ყველა „მასშტაბური პროექტი“ (მაგალითად, იაფი კრედიტის პროგრამა, რომლითაც წლეულს არც ერთ (!!) კაცს არ უსარგებლია!) ასევე მასშტაბურად ჩაფლავდა.

რეგიონებში მდგომარეობა დედაქალაქში შექმნილი ვითარებისგან სასიკეთოთი არაფრით რომ არ განსხვავდება, ეს კარგადაა ცნობილი. აქვე ისიც უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებში სოფლებისთვის განკუთვნილი თანხები მოსახლეობის საჭიროებისა და მოთხოვნების შესაბამისად კი არა, ხელმძღვანელი სტრუქტურების შეხედულებისამებრ იხარჯება, რაც ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

თუ კვლავ მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებს დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ეროვნული ეკონომიკის ამ „კონკიასთვის“ განკუთვნილი უამრავი სახსარი კი დაიხარჯა (საქმეს რამდენად წაადგება, სხვა საქმეა), მაგრამ წინსვლის მაგივრად ეს სექტორი წლიდან წლამდე შაგრენის ტყავივით პატარავდება. მრავალი ხმამაღალი განცხადებისა და დახარჯული ფულის მიუხედავად, მცირე ბიზნესის წილი ეროვნულ ეკონომიკაში ყოველწლიურად კლებულობს და, მასთან ერთად, მზარდი ინფლაციისა და სამომხმარებლო ფასების მიუხედავად, იქ დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად შემოსავალიც მცირდება. **ეროვნულ ეკონომიკაში მცირე ბიზნესის წილი სადღეისოდ დაახლოებით 15 პროცენტია.**




სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წასახალისებლად მთავრობამ ახალ საგადასახადო კოდექსში რამდენიმე ცვლილება შეიტანა. კერძოდ, მასში მიკრო და მცირე ბიზნესის ცნებებია შემოღებული და განმარტებული. ახალი მიდგომის შესაბამისად, **მიკრობიზნესის მწარმოებელი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს, რომლის საწარმოო ბრუნვა წელიწადში 30 ათას ლარს არ აჭარბებს.** მიკრომეწარმე საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან კია გათავისუფლებული, მაგრამ 30 ათასი ლარის ზღვარი მისი შემოსავლის ოდნავადაც გაზრდას შეუძლებელს ხდის. **მცირეთა კატეგორიაში ის ბიზნესმენები გადიან, რომელთა საწარმოს ყოველწლიური ბრუნვა 30-დან 100 ათას ლარამდეა.** ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ ევროპაში ეს მაჩვენებლები რამდენიმე ათეულჯერ მაღალია, რაც როგორც მიკრო, ისე მცირე ბიზნესს განვითარების პერსპექტივასაც უხსნის და, რაც მთავარია, ამის განხორციელების საშუალებას აძლევს.

აქვე მკითხველს კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, რომ მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირედ მიჩნეულია ის საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა 10 მილიონამდეა. ამ მაჩვენებელს საქართველო, ცხადია, მექანიკურად ვერ გადმოიღებს, მაგრამ, ეროვნული ეკონომიკის რეალიების გათვალისწინებით, სავსებით ნორმალური იქნებოდა მცირე საწარმოს წლიური ბრუნვის საზღვრები 100 ათასიდან, ვთქვათ მილიონ-მილიონნახევარი ლარის ფარგლებში მოქცეულიყო. ეს, დამოუკიდებელ ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ისევ მრეწველობის განვითარებასა და მეწარმეებს წაადგებოდა.

ახალი საგადასახადო კოდექსის პირვანდელ ვარიანტში, დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 200 ათასამდე უნდა გაზრდილიყო, თუმცა ბოლოს მაინც ძველი, 100-ათასიანი ზღვარი დატოვეს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ თავდაპირველად დიდად გაპიარებული დაპირების შეუსრულებლობამ მცირე ბიზნესს სახეირო ვერაფერი შემატა.

ფაქტობრივად, ახალი საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია, ძირითადად, მიკრო ბიზნესს, ანუ ფიზიკურ პირებს შეეხო, რაც მთლიანად მცირე და, მით უმეტეს, საშუალო ბიზნესისთვის ვერაფერი შეღავათია.

ცალკე საკითხია მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების მსურველთათვის ფინანსური რესურსების ფაქტობრივი მიუწვდომლობა, რადგან კომერციული ბანკები დამწყებ მეწარმეებს კრედიტებს გაუმართლებლად მაღალი რისკის მოტივაციით ძალიან უხალისოდ აძლევენ, ისიც ძალიან მცირე ოდენობით და ხანმოკლე ვადებით.

ასევე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ, კერძოდ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, მცირე და საშუალო ბიზნესგარემო შეისწავლეს. **გამოკითხულ მეწარმეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (73 პროცენტმა) განაცხადა, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემო ბოლო ერთი წლის მანძილზე საგრძნობლად გაუარესდა,** თან მნიშვნელოვან პრობლემად კანონმდებლობის ხშირი ცვლა დაასახელა. რესპონდენტთა 70 პროცენტისთვის, როგორც ზემოთ ითქვა, პრობლემაა ბიზნესის საწარმოებლად ინვესტიციების მოზიდვა.

**მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების უბრალო ჩამოთვლით, ცხადია, საქმეს არაფერი ეშველება და მათ გადაჭრას, რაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის განვითარებას უნდა წაადგეს, ჩანს, ახალ საგადასახადო კოდექსში... ახალი ცვლილებების შეტანა სჭირდება.**

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# უჯრედული მედიცინა — ახალი დარგი

**აკადემიურმა საბჭომ ბოლო სხდომაზე მოისმინა ქართულ-გერმანული სპეციალიზებული ონკოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელის, პროფესორ კონსტანტინე მარდალეიშვილის მოხსენება „უჯრედული მედიცინა, დღევანდელი მიღწევები და განვითარების პერსპექტივები“.**

ღეროვანი ისეთ უჯრედს ეწოდება, რომელიც თვითგანახლებისა და დიფერენცირების უნარის მქონეა და ქსოვილებისა და ორგანოების რეგენერაციის წყაროს წარმოადგენს. უჯრედული მედიცინა კი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ უჯრედული სუბსტანციების გამოყენებაზე დაფუძნებული ახალი დარგი ყოფილა მეცნიერებისა.




ბოლო 11 წელია, რაც ქართულ-გერმანულ სპეციალიზებულ ონკოლოგიურ კლინიკაში ღეროვანი უჯრედების სამედიცინო-ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა მიმდინარეობს გერმანელ სპეციალისტებთან ერთად. დაიხვეწა ღეროვანი უჯრედების მიღების, გამოკვლევის, კრიოკონსერვაციის, ხანგრძლივი შენახვისა და გამრავლების მეთოდები. შედეგად საქართველოში პირველად შეიქმნა ჭიპლარის სისხლის ბანკი, რაც მეტად მნიშვნელოვანია: ჭიპლარის სისხლი ხომ არაჩვეულებრივად მდიდარია ღეროვანი უჯრედებით. ის შეიცავს როგორც სისხლმბად, ასევე მეზენქიმურ (ანუ შემაერთებელქსოვილიან), ენდოთელურ (ანუ სისხლძარღვების გამომფენ) და შეუზღუდავ სომატურ (ანუ სასქესოს გარდა, ყველა) ღეროვან უჯრედებს, გამორჩეულს განსაკუთრებული დიფერენცირების პოტენციალით და ფართოდ გამოსაყენებელს თანდაყოლილი თუ შეძენილი პათოლოგიების, ონკოლოგიურ თუ არაონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ.

უკვე ერთი წელია, რაც ღეროვანი უჯრედები ინტენსიურად გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის პათოლოგიების განკურნებისათვის, სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინებისათვის, იმუნოთერაპიის ჩასატარებლად. მიღებულია კიდევაც დამაიმედებელი შედეგები.

ღეროვანი უჯრედები არაერთი ქსოვილოვანი დეფექტის აღსადგენადაც აგრეთვე ეფექტური აღმოჩნდა: ძვლის, ხრტილის, ცხიმის ფაშარი შემაერთებელი ქსოვილის, კუნთისა და სხვა. სადღეისოდ ენერგიული კვლევა მიდის სხვადასხვა ქსოვილისა და ორგანოს შესაქმნელად (როგორიცაა ღვიძლი, პანკრეასი, ინსულარული აპარატი, ხრტილი, ძვალი...).

გამომდინარე პრობლემის აქტუალობიდან, 2009 წელს სახელმწიფო თანადგომით დაარსდა უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრი, რომლის მუშაობის შედეგები დეტალურად იქნება წარმოდგენილი.

ბატონი კოტეს ფრიად საგულისყურო, ეკრანზე უხვად ილუსტრირებულმა გამოსვლამ მსმენელთა დიდი ინტერესი და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ხანგრძლივ სჯა-ბაასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა თამაზ იამანიძემ და რომან შაქარაშვილმა, ონკოლოგიური კლინიკის თანამშრომლებმა და სხვა სპეციალისტებმა. დისკუსიის მონაწილეთაგან ცალკე აღვნიშნავთ შვედეთში მოღვაწე ქართველ მკვლევარს, პროფესორ ზაზა კოკაიას.

„სრ“-ის მკითხველებმა იციან, რომ შემოდგომაზე ფართოდ აღინიშნება ორმაგი იუბილე: აკადემიის დაარსების 70 წლისთავი და იმისი პირველი პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადების 120 წლისთავი.

პირველ თარიღს უკავშირდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება — საიუბილეო ილუსტრირებული ალბომის მომზადება. აკადემიურმა საბჭომ ალბომზე მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე მოუსმინა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, აკადემიკოს როინ მეტრეველსა და ჯგუფის წევრს, პროფესორ პარმენ მარგველაშვილს.

ჩვენი სპეც. კორ.

ინფორმაცია

## ქართველი მეზღვაურები მალტიდან დაბრუნებას ჯერჯერობით არ აპირებენ

**ლიბიიდან მალტაში გაქცეულ ქართველ მეზღვაურებს იტალიური კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი ამ დრომდე არ შეუტანიათ. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**— არსებობდა ორი გზა, რომ ქართველ მეზღვაურებს სარჩელი შეეტანათ. პირველი — მათ ამ საქმეში პორტის ადვოკატი უნდა დახმარებოდა და მეორე — სარჩელი საერთაშორისო სატრანსპორტო კომისიაში შესულიყო, რომელიც უფრო ხანგრძლივი გზაა, — განმარტა კალანდაძემ.**

**მისივე თქმით, მეზღვაურების სამშობლოში დაბრუნების არანაირი შემაფერხებელი გარემოება არ არსებობს, თუმცა კალანდაძის ინფორმაციით, ისინი საქართველოში ჩამოსვლისგან ამ ეტაპზე ნაბაყოფლობით იკავებენ თავს. მისივე განმარტებით, ქართველ მეზღვაურებს მალტაში დარჩენა კუთვნილი თანხის მიღების გამო სურთ.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თურქეთი და საქართველო ახალ სტრატეგიას იკვლევენ

**თურქეთი უპრეცედენტო ნაბიჯს დგამს და ამზადებს სტრატეგიას, რომელიც საქართველოსთან უპასპორტო მიმოსვლას გულისხმობს, აცნობეს ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა SETIMES-ს.**

„ეს ჩვენი რეგიონისთვის უზარმაზარი ცვლილება იქნება", — განაცხადა თურქეთ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარემ ქელალ ელბეიმ. — „ისევე, როგორც ეს ევროკავშირშია, ჩვენს მოქალაქეებსაც შეეძლებათ გამგზავრება ერთმანეთთან მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით".

ე.წ. „ერთიან კავკასიად" წოდებულ ამ პროექტს განიხილავდნენ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავითოღლუ და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გასულ თვეს თბილისში.

მას შემდეგ ელბეი და მისი გუნდი თბილისს ორჯერ ეწვივნენ, რათა განეგრძოთ ორი ქვეყნის ეკონომიკების ინტეგრაციის ინიციატივების სტრატეგია.

„ჩვენ ერთმანეთს გავუღეთ კარი, რათა ჩვენს რეგიონს მოვუტანოთ მშვიდობა, განვითარება და ეკონომიკური ძლიერება", — განაცხადა მან.

საქართველოს თურქეთთან ხანგრძლივი ისტორიული და სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს. გარდა ამისა, თბილისის არაკეთილსაიმედო გეოპოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან მისი გათვლების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია.

ამ სტრატეგიის ფარგლებში საქართველო სამ კავკასიურ ქვეყანასა და თურქეთს შორის ალიანსის ჩამოყალიბების წინადადებით გამოდის. თურქეთის ამბიცია კი ისაა, რომ საქართველოს ინიციატივა მომავალში მთელს კავკასიაზე განავრცოს.

„თურქეთს და საქართველოს შეუძლიათ, რეგიონში ევროკავშირის ტიპის თანამშრომლობას დაუდონ სათავე და პროცესში სხვა მეზობელი ქვეყნებიც ჩართონ, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას დროს სჭირდება", — უთხრა SETimes-ს სინან ოგანმა, თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (ანკარა) თავმჯდომარემ. „აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე კავკასიის კავშირი ვერ შედგება".




„იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გადავიტანოთ იდეაზე, რომლის მოგვარებაც ვერ მოხერხდება თვალსაწიერ მომავალში, უმჯობესია, მეტი ენერგია მივმართოთ არსებული კონფლიქტების გადაწყვეტაზე და სამხრეთ კავკასიაში უფრო ნაყოფიერი ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე", — ამბობს იანუს ბუგაისკი, სტრატეგიულ და საერთაშორისო კვლევების ცენტრის თანამშრომელი.

„თურქეთსა და საქართველოს აერთიანებს პოლიტიკის, თავდაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტირების და კულტურის სფეროებში თანამშრომლობა. სასაზღვრო პოლიტიკასთან ერთად ეს ყველაფერი პასპორტებს ირელევანტურს ხდის", — ამბობს ჯონ სიტილიდისი, ექსპერტი ვაშინგტონიდან (Trilogy Advisors LLC).

თანამშრომლობის გაღრმავება და სასაზღვრო მიმოსვლის გაუმჯობესება ჯერ კიდევ ძალიან შორსაა სახელმწიფოთა გაერთიანებიდან. „კავკასიის ქვეყნებმა უფრო მყარი სუვერენული სტრუქტურები უნდა შექმნან და უფრო გამძლე ინსტიტუციური ურთიერთობები დაამყარონ", — დასძინა მან.

ჯონ ტრიმანი (MIT Centre for International Studies) ფიქრობს, რომ თურქეთმა უნდა იბრძოლოს კავკასიაში ღია ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ პოლიტიკური კავშირი მომავალ ათწლეულში ვერ შედგება, თუ ოდესმე შედგება საერთოდ.

„პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები, თავისუფალი სავაჭრო ზონები და უნდა მოგვარდეს მძიმე კონფლიქტები", — ამბობს ის.

SETimes.com

# ინფლაციის გამო ფერმერებს ვალები უგროვდებათ

**საქართველოს მცირე ფერმერთა 700 000 არმიის წარმომადგენლები, რომლებიც შარშანდელი მოუსავლიანობის და ორნიშნა ციფრებში გამოხატული ინფლაციის ზრდის ტემპის გამო დაზარალდნენ, საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყების პერიოდს ისე ხვდებიან, რომ სათესლე მასალის ყიდვის ფული არა აქვთ**

სოფლის მეურნეობის სექტორი ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია: ოფიციალური სტატისტიკით — 8.4%, მაგრამ საქართველოს ყველაზე სასოფლო-სამეურნეო რეგიონის, კახეთის ფერმერებმა EurasiaNet.org-ს ინტერვიუში უამბეს, რომ მიწაზე მუშაობით ისინი ძლივს ირჩენენ თავს. იმ პირობებში როდესაც ინფლაციის ზრდის ტემპი 13.7%-ია, მესაქონლე პაატა მათიაშვილი ალაზნის ველიდან ამბობს, რომ წელს ის საქონლის გამოსაკვებად და საკუთარი ოჯახისთვის ნაკლებ მარცვლეულს დათესავს. „არც კი ვიცი, რა უნდა ვილონოთ", — ამბობს ის წუხილით.

მათიაშვილის მსგავსი ქართველი ფერმერები ბანკებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც მიკროკრედიტებს გასცემენ, ვერ ხედავენ იმ სახსრების მიღების რეალურ შესაძლებლობას, რაც აუცილებელია თესლის, სასუქისა და საწვავის შესაძენად. ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სასოფლო-სამეურნეო კრედიტორ ბანკ „კონსტანტაში" პროცენტები 15%-დან 36%-მდე მერყეობს, ხოლო კრედიტების გაცემის ვადა სამი თვიდან ერთ წლამდეა. „ბანკის კრედიტები ფერმერებისთვის ძალიან ძვირია", — ამბობს მათიაშვილი. — „სასოფლო-სამეურნეო სესხებისადმი ისეთი მიდგომა, თითქოს ისინი კომერციული დაწესებულებისთვის განსაზღვრული სესხები იყოს, არ ღირს".

მისი აზრით უფრო ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი, მრავალწლიანი კრედიტების შემთხვევაში ფერმერებს ექნებათ იმის დრო, რომ მოსავალი მიიღონ და ფული იშოვონ, რათა სესხი დააბრუნონ.

ამ აზრს იზიარებს ყოფილი პოლიციელი და დღეს პენსიონერი ნოდარი, რომელიც კახეთში 40 ჰექტარ მიწას ამუშავებს. თავის ორსართულიან სახლში, სადაც გათბობა არ არის, ის გაბრაზებული იხსენებს იმას, თუ როგორ უშედეგოდ ცდილობდა სესხის ან კრედიტის მიღებას საქართველოს ბანკების ან მიკროკრედიტორებისგან.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტების გაცემა მცირე მოცულობათა გამო ძვირია, აღნიშნავს ბანკ „კონსტანტას" პროექტების მართვის დირექტორი დიმიტრი უჩანეიშვილი. პროცენტულ ტარიფებს განსაზღვრავს ბანკის ხარჯები კრედიტის გაცემასა და მის ფულით უზრუნველყოფაზე, — ამბობს იგი.

კომენტარისთვის სხვა ქართულ ბანკებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

დაფინანსებასთან დაკავშირებული სირთულეები მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რაც წელს ფერმერების წინაშე დგას. 2010 წლის უჩვეულოდ მშრალ ზაფხულს მოსავლის შემცირება და შესაბამისად ფერმერთა შემოსავლების შემცირებაც მოჰყვა. ამ საკითხზე ქვეყანაში ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ საქართველოს ბიოლოგიური მეურნეობის არასამთავრობო ასოციაცია „ელკანას" შეფასებით, იმ დროს მარწყვის მოსავალი 70%-ით შემცირდა.

ამ ყველაფრის გარდა, საქართველო სულ უფრო მეტი პროდუქტის იმპორტს ეწევა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფერმერებს საქმე აქვთ საკუთარ



პროდუქციაზე ფასების ვარდნასთან. ამ ზოგადი წესიდან ერთგვარი გამონაკლისია ვაშლის ჯიში Golden Delicious, რომელიც საქართველოში მოჰყავთ. ამ ვაშლის საბითუმო ფასი კილოგრამზე 8 ლარია.

ახლახან მთავრობამ პრობლემის სიმწვავე აღიარა, მაგრამ მკაფიო სამოქმედო გეგმა ჯერ არ შეუმუშავებია. მარტში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში ქვეყნის სოფლის მეურნეობის „მოდერნიზებაზე" ბიუჯეტიდან დამატებით დაახლოებით 150 მილიონი ლარი გამოიყოფა, თუმცა პროგრამას კონკრეტიკა აკლია.

ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე შეიმუშავა საბანკო კრედიტების მიღების დროს ფერმერების დახმარების ერთი პროგრამა. მეურნეობის მფლობელებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამერიკაში გამოყვანილი ჰიბრიდული სიმინდის თესლის შეძენით იმ ნაკვეთებისთვის, რომელთა მოცულობაც 7 ჰექტარზე მეტია, მთავრობასთან ხელშეკრულების გაფორმება შეუძლიათ, რაც მათ ბანკში კრედიტის მიღების შესაძლებლობას მისცემს, — ამბობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესმდივანი გიორგი ჩადუნელი, ან მთავრობა შესძლებს თესლის გაყიდვას 240 ლარად ერთ ჰექტარზე, ხოლო ფერმერები ვალს მოსავლის აღების შემდეგ გაისტუმრებენ.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ფერმერების წინაშე არსებული დაბრკოლებები — დაფინანსების შეზღუდულობა, მცირე ნაკვეთები და დაბალი მოსავლიანობა — გრძელვადიანი მიდგომის შემუშავებას მოითხოვს. „წელს საქართველოში შიმშილით არავინ მოკვდება, მაგრამ წელს არ იარსებებს ფული იმისთვის, რომ ბავშვები სასწავლებლად გავგზავნოთ, ან იმისთვის, რომ გამოვასწოროთ მდგომარეობა", — ამბობს ასოციაცია „ელკანას" ინსტრუქტორი ნუკრი მამარმიშვილი — „პრობლემა სწორედ ეს არის".

რაც შეეხება მომხმარებელს, ასევე სერიოზული პრობლემა აქვს რეგიონების მოსახლეობას. იმისთვის, რომ როგორმე გადარჩნენ ამ სწრაფი ინფლაციის პირობებში, ფერმერები და საქართველოს სხვა მცხოვრებლები სულ უფრო ხშირად იღებენ სამომხმარებლო კრედიტებს და მცირე სესხებს. არ შეიძლება ეს ტენდენცია სასურსათო უსაფრთხოების სპეციალისტებს არ აღელვებდეს. შედეგად ბევრი მათგანი შეიძლება უზარმაზარ ვალში გადავარდეს. ფასები ისეთ პროდუქტზე, როგორიც შაქარი და ზეთია, უკანასკნელი წლის განმავლობაში სამ-ოთხჯერ გაიზარდა, ხოლო სხვა სასურსათო პროდუქტზე ფასები — 130%-ით, — აღნიშნავს მსოფლიო სასურსათო პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში მაჰა აჰმედი.

ფასების გაზრდამ ხელისუფლება აიძულა თითო ოჯახისთვის 30-ლარიანი (17.65 დოლარი) ვაუჩერები დაერიგებინა, თუმცა მსგავსი ზომები ფერმერთა ოჯახებზე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს.

უმუშევრად დარჩენილი მასწავლებლის ნონა ობოლაშვილის თქმით, რომელმაც კახეთის სოფელ ბაკურციხეში სასურსათო ჯიხური გახსნა, რომ როგორმე აენაზღაურებინა თავისი ოჯახის შემოსავლები, სოფელში სულ უფრო მეტი ოჯახი ვალს იღებს იმისთვის, რომ იყიდოს ისეთი აუცილებელი პროდუქტი, როგორიც პურია. ყოველდღე ნონა ობოლაშვილის დაახლოებით 25 მყიდველი, მისი მომხმარებლების ბირთვი, ერთ ლარად ღირებულ პურს კრედიტით იღებს.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



**ირანის პრეზიდენტმა თურქმენეთის ხელმძღვანელს თვითმფრინავი აჩუქა და ათასი ტონა ფქვილი მიიღო**

კვირას გამართული შეხვედრის შემდეგ მაჰმუდ ახმადინეჟადმა გურბანგული ბერდიმუხამედოვს ერთმოტორიანი ორადგილიანი თვითმფრინავი უბოძა „მეგობრობის, პატივისცემისა და ურთიერთგაგების ნიშნად". ასეთი თვითმფრინავი 130 ათასი დოლარი ღირს.

* * *



**ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა 20 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა**

პაქტიკის პროვინციაში ტერორისტმა დანაღმული ავტომობილით შეუტია სამშენებლო ფირმის ოფისს. 20 კაცი დაიღუპა, 50 დაიჭრა. გაზაფხულის დადგომასთან ერთად თალიბებმა მკვეთრად გაააქტიურეს თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობა ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში.

* * *

**ლიბიელმა ამბოხებულებმა ხელში ჩაიგდეს კადაფის მშობლიური ქალაქი სირტი**



საერთაშორისო კოალიციის ძალებმა წინა საღამოს დაბომბეს სირტი, საპასუხო დარტყმა ქალაქში დისლოცირებული ლიბიური საჰაერო თავდაცვის ძალებისგან არ ყოფილა. სირტი დატოვა ათობით ოჯახმა.

* * *

**იაპონიაში მოხდა მორიგი 6,5 მაგნიტუდის მიწისძვრა. გამოცხადდა ცუნამის საფრთხე**

ტალღის მოსალოდნელი სიმაღლე სულ ცოტა 50 სანტიმეტრია. მიწისქვეშა ბიძგი დააფიქსირეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიაგის პრეფექტურაში. ეს პრეფექტურა სხვებზე მეტად დაზარალდა 11 მარტის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად. მსხვერპლთა რიცხვი იქ უკვე 6333 კაცია.



* * *

**ჟყლეტა გერმანიაში ტელეშოუზე – დაზარალდა 60 კაცი**

საგანგებო შემთხვევა მოხდა პოპულარული ტელეშოუს „გერმანია ეძებს ტალანტებს" კასტინგის დროს. ტელეშოუ მიმდინარეობდა დიდ სავაჭრო ცენტრში. იმის მსურველი, რომ სახელი გაეთქვათ მთელ ქვეყანაში, რამდენიმე ათასი აღმოჩნდა. ბრბომ გაარღვია დაბრკოლებები — დაიწყო პანიკა.



**ძვირფასო მეგობრებო!**
**მშობლიურო „საქართველოს რესპუბლიკავ!“**

ამ ბოლო დროს ნამეტანი გაგითამამდით, მაგრამ უკეთესი ტრიბუნა მართალი სიტყვისთვის ჩვენს სამშობლოში არ მეგულება. ამჟამად გიგზავნით ტარას შევჩენკოს ერთ-ერთ უძვირფასეს პუბლიცისტურ პოემას, რომელშიც ჩაქსოვილია გამანადგურებელი სარკაზმი ეროვნული სიამაყის გრძნობადაკარგულ მოლაყბეთა და სნობთა მიმართ. ვფიქრობ, პოემა აქტუალურია არა მარტო თანამედროვე უკრაინისთვის, არამედ ჩვენთვისაც, ვისაც გვახსოვს აკაკის მწარე შეძახილი: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!..“

პატივისცემით და საუკეთესო
სურვილებით —
თქვენი **რაულ ჩილაჩავა**

# ტარას შევჩენკო

მკვდარ, ცოცხალ და
ჯერარშობილ
თანამემამულეებს ჩემსას
უკრაინასა და უკრაინის მიღმა
ჩემი მეგობრული უსტარი

ბნელს ნათელი ენაცვლება,
ნათელს სჯაბნის თალხი,
კვლავ ისვენებს ცისქვეშეთში
დაქანცული ხალხი.
მე კი შეჩვენებულივით
დღე და ღამე ვტირი
თემშარაზე... ვერვინ ნახა
ჩემი გასაჭირი,
ვერვინ ნახა, ვერ გაიგო –
ყველა ყრუა, ალბათ;
ერთმანეთში ცვლიან ხუნდებს
და ვაჭრობენ ხარბად
თვით სიმართლით. გმობენ უფალს,
ხალხს ადგამენ ქედზე
მძიმე უღელს. ხნავენ ვარამს,
შიგ ვაებას თესენ.
რა იხარებს? ვნახოთ ერთი,
ალო საოცნებო!
გონს მოეგეთ, არაკაცნო,
შვილნო – სალოსებო!
ნახეთ მყუდრო საბაღნარო,
მიწა სანუკველი,
შეიყვარეთ წრფელი გულით
ნანგრევები ვრცელი,
ბედს ეწიეთ, ეძმეთ ერთურთს!
ზღვებს გადაღმა მხარეს
ნუ დაეძებთ, ნუ კითხულობთ
მას, რაც არსად არის,
მას, რაც ცაზე, არც სხვის ველზე
აღარ იპოვება.
შინ ხომ შენი სიმართლეა,
ძალაცა და შვებაც.
არ არის ქვეყნად სხვა უკრაინა,
სხვა დნიპროც ქვეყნად აღარსად არი,
თქვენ კი უცხოეთს მიელტვით მაინც,
ჰპოვოთ სიკეთე ზღაპრის სადარი,
სიკეთე წმინდა. შვება და შვება!
ძმობა ძმურადი! იპოვეთ კიდეც,
ზიდეთ, ატარეთ უცხო ველიდან
და უკრაინის აწიეთ კიდეს
დიად სიტყვათა დიადი ძალა,
სხვა არაფერი. გაჰყვირით ერთხმად:
განა იმიტომ დაგვბადა ღმერთმა,
რომ სიცრუისთვის გვეხადა ღალა!..
და კვლავ ღალატზე ამატებთ ღალატს!
და ძველებურად ატყავებთ თანაც
ძმას უსინათლოს, მარჩენალს ოდით,
და რომ იხილოთ სიმართლის შუქი,
გარბიხართ ისევ, როგორაც რბოდით,
გერმანელებთან!.. შესძელით თუკი
თან წაიმძღვანოთ ზღვა განძეული,
ნაქურდალი და ნაყაჩაღარი,
შეგვრჩება ოდენ დნიპრო ეული,
მოსილი წმინდა მთათა ჭაღარით!

ნეტამც სურდეს ბუნებას თქვენი
არდაბრუნება,
ნეტამც იქვე ჩაძაღლდეთ,
სადაც აღმოცენდით!
დედას არ ექნებოდა მოშხამული გუნება,
ვეღარ გაიგონებდა თქვენს
ძაგებას ღმერთი.
ამ უბიწო მიწაზე მზე, სხივების მფრქვევი,
ნეხვს არააყროლებდა,
ასჯერაც რომ ენახა.
ხალხი ვერ გაიგებდა,
რა ორბებიც თქვენა ხართ,
აღარც რამეს იტყოდა თქვენზე
თავის ქნევით.
გონს მოეგეთ! ახლოვდება
შურისგების ჟანდი.
ჯაჭვს აიწყვეტს სადაცაა
შებორკილი ხალხი,
დრო მოვა და დაიქუხებს
დნიპროც, მთაც და ველიც!
ლურჯი ზღვისკენ წავა სისხლის
ნიაღვრები ცხელი

უკეთუ ვინმე ჰსთქვას, ვითარმედ
მიყუარს ღმერთი
და ძმაი თვისი ჰსძულდეს, მტყუან არს...

პირველი კათოლიკე ეპისტოლე
**იოანე მოციქულისა.**
თავი 4. მუხლი 20

შვილთა თქვენთა, განკითხვის და
გლოვის ჟამი დგება.
ძმას ღვიძლი ძმა, შვილს მშობელი
დედა განუდგება.
მზეს მობურავს ღრუბელივით
კვამლი დაგრაგნილი.
შეგაჩვენებთ საუკუნოდ
საკუთარი შვილი!
განიბანეთ! უფლის ხატი
არ შებღალოთ მეტად.
შვილს არ უთხრათ, რომ თითქოსდა
მართლა დაებედა
ქვეყნად სხვებზე ბატონობა,
უმეცარი მზერა
სულს ჩასწვდება და შესზარავს,
როგორც ბედისწერა!
მიგიხვდებათ ნაშიერი,
ვის ტყავშიაც ვლიდით,
გაგკიცხავენ ბრძენთა-ბრძენებს
ბრიყვნი კიდით-კიდით!

თქვენ რომ გესწავლათ გულმოდგინებით,
არ გვექნებოდა სიბრძნეზე დავა.
ახლა კი ზეცას ეპოტინებით:
„ჩვენ სულ სხვანი ვართ,
მეც თვითონ სხვა ვარ,
ვიცი, მწუხარე თუ ამო დღეა,
არც ჯოჯოხეთი, არც სამოთხეა,
აღარც ღმერთია, არვის ვცნობილობ!
მე ვარ და ჯოჯო, ტლუ გერმანელი,
მეტი არავინ!... – „კარგი ძმობილო,
ვინა ხარ თვითონ?“
„დაე, გვითხრას გერმანელმა
ვინ ვართ“ ჩვენ არ ვიცით.“
ამნაირი მოგდით ცოდნა
ემაგ უცხო მიწით.
„მოგოლებო, მოგოლებო.“ –
გეტყვით გერმანელი.
თქვენ ხართ ოქროს ტამერლანის
ბადიშები ბნელი.
გეტყვით იგი: „სლავები ხართ“.
კვერს დაუკრავთ: ვართოო!
სახელოვან დიდ პაპათა
მოდგმა უწაღმართო!
თქვენ კოლარსაც ეტანებით,
კითხვით კმაყოფილებს
გინდათ განკაც, შაფარიკიც
და სლავიანოფილებს
ეტმასნებით, ყველა ენა
იცით სლავთა გვარის.
საკუთარსაც შევისწავლით,
თუკი ამდაგვარი
რჩევა მოგვცა გერმანელმა
და გვასწავლა თანაც
ჩვენი ქვეყნის ისტორია,
ჩვენი ანა-ბანა, –
მაშინ ნახეთ, რასაც ვიზამთ!..
აკი ყველამ ნახა,
რომ ვჭიკჭიკებთ, გერმანელმა
როგორც გვიკარნახა,
მაგრამ ჩვენი დიდ მოძღვარსაც
აღარ გაეგება,
ხალხს მით უფრო. ღრიანცელი
ცის კიდემდე სწვდება!
„ირგვლივ სუფევს ჰარმონია,
სული ჩვენი მღერის!
ისტორია? – პოემაა
თავისუფალ ერის!
რის ბრუტუსი, რისი რომი!
არც ვახსენებთ უხამსთ!
ბრუტუსებიც, კოკლესებიც
ჩვენ გვყავს, ვინმეს თუ ჰყავს!
ჩვენთან შვება ფრთებს ისხამდა,
დნიპროს წყალში ნაბანს,
თავსასთუმლად ედო მთები,
სტეპი სცვლიდა საბანს!“
შვება სისხლშიც განბანილა,
უთევია ღამე,
სად გაქურდულ კაზაკების
ალაგებდნენ გვამებს.



დააკვირდით დადინჯებით,
წაიკითხეთ ისევ
წიგნი ჩვენი დიდებისა,
სიტყვა-სიტყვით, ისე,
რომ ქარაგმაც არ გამოგრჩეთ,
მძიმე როა, მძიმეც,
შეამოწმეთ, თან იკითხეთ:
ვინ გვიმაგრებს იმედს?
ვინ ვართ? ვისი გორისანი?
ვინ შეგვბორკა ასე?..
იქ კი ჩვენი ბრუტუსების
გამოჩნდება ფასი:
მონები, ყმები, მოსკოვის  წვირე,
ვარშავის ნეხვი გექცათ პანებად,
ატამანებად და ჰეტმანებად.
ჰეი, თქვენ, რისთვის იბზუებთ ცხვირებს!
შვილნო ბედკრული უკრაინისა!
ნუთუ იმიტომ, მამათა მსგავსად,
და მეტიც, უკეთ ატარებთ უღელს.
იყუჩეთ! თქვენ დღეს აგაქნეს თასმა,
მათგან კი ქონი დაადნეს წუხელ.
თქვენ ყოყოჩობთ, რომ კაზაკნი
რწმენას ედგნენ მხარში,
რომ სინოპში, ტრაპიზონში
გალუშკები ხარშეთ.
ხარშეთ!.. ხარშეთ, მაგრამ კერძმა
ახლა მოგჭრათ კბილი.
ხოლო სიჩში ბრძენ გერმანელს
მოჰყავს კარტოფილი.
თქვენც ყიდულობთ, შეექცევით,
არ შეგაკრთობთ ზიზღი.
აქებთ ზაპოროჟიელებს,
მაგრამ ვისი სისხლი
რწყავდა მიწას, კარტოფილით
განთქმული რომ არი, –
არ გადარდებთ. ოღონდ ბოსტანს
არ მოაკლდეს ცვარი.
მოგაქვთ თავი, პოლონეთთან
მოვიგეთო ბრძოლა!..
კი: დაეცა პოლონეთი,
თქვენც ქვეშ მოგიყოლათ!
როცა მამები მკერდდამდაღველი
ბრძოლით იცავდნენ მოსკოვს, ვარშავას,
ძველი ხუნდები, ძველი სახელი
შვილებს მოგიძღვნათ, თქვენ მოგაშავათ!

აწ სადღაა უკრაინის
ძველი სიჩაუქე.
ლიახიც კი ვერ უზამდა,
რაც შვილებმა უქნეს.
ლუდის ნაცვლად ნეკნებიდან
სისხლს უბიწოს სვამენ,
აქაოდა, გვსურსო დედას
გავუნათოთ ღამე
შუქით თანამედროულით,
რომ ასწლეულს მიჰყვეს,
კვალში მიჰყვეს გერმანელებს,
უსინათლო ბრიყვი.
კარგი, იყოს ნება თქვენი,
დააკვირდით ცხოვლად,
შეისწავლოს, ახალ შვილებს
როგორ უნდა მოვლა.
დაანახეთ!.. სწავლებისთვის,
ნუ გექნებათ დარდი,
დედა უხვად გადაგიხდით.
გაირღვევა ბანდი,
ხარბ თვალებზე ახვეული
და დიდებას ნახავთ,
იმ დიდებას, მამა-პაპამ
თქვენ რომ შეგინახათ.
ნუ იბრიყვებთ თავს ერთბაშად,
გეპყრათ ცოდნის კვარი,
სხვის სიბრძნესაც დაეუფლეთ,
გწამდეთ საკუთარიც.
რადგან დედის დამვიწყებელს
ღმერთი დასჯის მწარედ.
შვილი კარებს მიუკეტავს,
აყურყუტებს გარეთ.
აღარც უცხო გაიკარებს
და, წანწალით დაღლილს,
არ ექნება ცისქვეშეთში
მხიარული სახლი.
ვტირი, როცა მახსენდება
ცუდნაქმნართა წყება
წინაპრების! რომ შემეძლოს
მათი დავიწყება,
მზად ვარ დავთმო მხიარული
წლების ნახევარი.
უკრაინის დიდება ხომ
ამნაირი არი.
ამგვარადაც წაიკითხეთ,
რომ გესიზმროთ ცხადად
ყველა ჭორი, რომ თქვენს თვალწინ
აეხადოს ფარდა
ყორღანების საიდუმლოს,
რომ დაკითხოთ სრულად
წამებულნი: ჯვარზე როდის,
ვინ და როდის ცმულა!
ძმებო, გულში ჩაიკარით
უმრწემესი ძმაი, –
გაეღიმოს თვალცრემლიან
დედას ერთხელ მაინც.
შვილებს თვისას მტკიცე ხელით
გადასახოს ჯვარი,
დაამჩნიოს თავისუფალ
ბაგის ნაკოცნარი.
მაშინ წარსულს ჩაბარდება,
რაც გადაგვხდა წინათ.
ძველ დიდებას დაიბრუნებს
ჩვენი უკრაინა.
და სამყაროც სხივნათელი,
იკიაფებს წყნარად,
ძმებო, ერთურთს ჩაეკონეთ,
გვედრით აწ და მარად.

**შენიშვნები:**

კოლარი იან (1793-1852) – ჩეხი და სლოვაკი პოეტი და მეცნიერი. სლავთა ერთიანობის მომხრე.

განკა ვაცლავ (1792-1961) – ჩეხი პოეტი და მეცნიერი, ჩეხური აღორძინების გამოჩენილი მოღვაწე.

ბრუტუსი მარკუს იუნიუს – რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, იულიუს კეისრის (ძვ. წ. ა. 44 წ.) მკვლელობის თანაორგანიზატორი. შევჩენკო მას ახსენებს, როგორც დესპოტიზმის წინააღმდეგ მებრძოლს.

„ხოლო სიჩში ბრძენ გერმანელს მოჰყავს კარტოფილი...“ – იგულისხმება XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს სამხრეთ უკრაინაში გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლება.

უკრაინულიდან თარგმნა
**რაულ ჩილაჩავამ**

„ევრო – 2012“

# ესენი ქართულ საქმეს აკეთებენ





**კაცობრიობის ისტორიას არაერთი ტაქტიკური უკანდახევა ახსოვს, რომელსაც დიდი გამარჯვება მოჰყოლია, მაგალითად, რუსების მიერ 1812 წელს ნაპოლეონისთვის დროებით მოსკოვის დათმობა, მალე სანანებლად რომ გაუხდა საფრანგეთის ტომით კორსიკელ იმპერატორს.**

შეიძლება მასშტაბების გათვალისწინებით ასეთი პარალელის გავლება ვინმემ დაგვიწუნოს, მაგრამ თვით მომხდარის არსი, დაგვეთანხმებით, სწორედაც რომ შეესაბამება ორი საუკუნის წინანდელ მოვლენას.



**მაშ ასე, 2011 წლის 26 მარტი. თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. „ევრო – 2012“-ის შესარჩევი ტურნირის მატჩი. საქართველო – ხორვატეთი 1:0 (0:0). გოლი: კობიაშვილი (90-ე წთ). მსაჯი. ტალიავენტო (იტალია).**

ამ დღეს დიდუბეში ორი საიუბილეო ფაქტი აღინიშნა: სტუმართა თავკაცმა სლავენ ბილიჩმა ბალკანელთა მთავარი მწვრთნელის ამპლუაში 50-ე შეხვედრა გამართა, რომელთაგანაც უკანასკნელ ცამეტში დაუმარცხებელი იყო, ხოლო მის ქართველ კოლეგას შედარებით მოკრძალებული, თუმცა თანამემამულეთათვის მანამდე არნახული დამსახურებათა ნუსხა გაუხდა მისალოცი – თემურ ქეცბაიამ მე-10 წაუგებელი ბრძოლა გადაიტანა. მართალია, ერთ დროს საყურიანი სპეციალისტის მიღწევა ციფრების მიხედვით გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იგი ფიფას რეიტინგის უძლიერესი ათეულის ბინადარს ავარჯიშებს და საფეხბურთო სამყაროში აღიარებულ-დაფასებულ უამრავ სრულფასოვან პროფესიონალ მოთამაშეს შორის უწევს ძირითადი შემადგენლობის შერჩევა, მასპინძელთა დამრიგებლის ერთ-ერთ უმთავრეს თავსატეხს კი ასეთი კონტინგენტის დეფიციტი წარმოადგენს, რომელიც კონკრეტულად ამ მატჩის წინ კიდევ უფრო საგრძნობი გახდა ასათიანისა და ანანიძის არყოფნით.

თუმცა, მოდით, რადგან წერილის დასაწყისში სტრატეგიულ საკითხს შევეხეთ, ისევ მას დავუბრუნდეთ და ისე ვთქვათ ძირითადი სათქმელი.

როცა „ჯვაროსანთა“ სასტარტო შემადგენლობას გავეცანით, ცხადი გახდა, რომ „ქეცბამ“ სარბიელზე ერთბაშად სამი საყრდენი ნახევარმცველის (ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი) გამოყვანით მრისხანე მეტოქის ხაფანგში შეტყუება სცადა და მისთვის მინდვრის ცენტრის დათმობით გარკვეული ვადით უარი თქვა აქტიური საიერიშო ოპერაციების განხორციელებაზე. მართლაც, ბიჭებმა ბრწყინვალედ აქციეს რეალობად დამრიგებლის მიერ შეთავაზებული სქემა, მაგრამ როგორი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსების გაღების ფასად დაუჯდათ ეს, ამას მხოლოდ თვითონ თუ აგვიხსნიან.

ასეა თუ ისე, მხოლოდ ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებამ და უნაყოფო-უმომენტო შეტევებში გატარებულმა პირველმა ტაიმმა ფავორიტს, რომ იტყვიან, სიქა გააცალა, გადაჭედილი ტრიბუნების ფანატიკური მხარდაჭერით გამხნევებულ ჩვენებურთა ჭეშმარიტი სახე კი შესვენების შემდეგ ვიხილეთ, როცა ქეცბაიამ ერთმანეთის მიყოლებით ჩააბა ბრძოლაში სირაძე-მარცვალაძე-გოგუას დამრტყმელი ტრიო. სიმბოლურია, რომ მალტასთან შეხვედრის მსგავსად, კვანძი ამჯერადაც ბოლო წუთზე გაიხსნა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თემურისა და მისი ძლევამოსილი რაზმის მიერ ქართველთათვის ერთ დროს აქილევსის ქუსლად ქცეული სენის დაძლევას. მიხვდით, ალბათ, რომ სხვა კომპონენტებთან ერთად, ექს-იუგთა ფუნქციონალურ მომზადებაში დაჯაბვნას ვგულისხმობთ.

როცა ადრეული გაზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს განვითარებულ საამაყო მოვლენაზე ვსაუბრობთ, საკადრისი უნდა მივუზღოთ ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, მაგრამ, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ ქებას მაინც გუნდში უმძიმესი ტრავმით გამოწვეული იძულებითი ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული კანკავა და მეკარე რევიშვილი იმსახურებენ, რომელმაც პარტნიორები რამდენჯერმე იხსნა. სხვათა შორის, ქეცბაიას ალღომ არც გოლკიპერის გამოცნობისას უმტყუნა. „მას იმდენად ღირსეული კონკურენტი ჰყავს ლორიას სახით, რომ უკანასკნელ მომენტამდე მხოლოდ მეკარის პოზიცია რჩებოდა ღიად და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად კინაღამ „არიოლ-რეშკა“ ავაგდეო“ – განაცხადა ნახევრად ხუმრობით აღნიშნული წარმატების სულისჩამდგმელმა.

და ბოლოს, თამაშის დასრულებისთანავე სლავენ ბილიჩი გასახდელშივე ეწვია უსაზღვროდ ბედნიერ მოწინააღმდეგეებს და ისე მიულოცა დამსახურებული გამარჯვება.

დაგვეთანხმებით, საგულისხმო და მრავლისმეტყველი ფაქტია.

**გია პლატონიშვილი**

**გაუწყებთ „ევრო-2012“-ის შესარჩევი ტურნირის მორიგი რაუნდის სრულ შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** ავსტრია – ბელგია 0:2, გერმანია – ყაზახეთი 4:0.

**გერმანია – 15, ავსტრია, ბელგია – 7-7, თურქეთი – 6, აზერბაიჯანი – 3, ყაზახეთი – 0 ქულა.**

**დღეს ითამაშებენ:** თურქეთი – ავსტრია, ბელგია – აზერბაიჯანი.

**„ბ“ ჯგუფი.** სომხეთი – რუსეთი 0:0, ირლანდია – მაკედონია 2:1, ანდორა – სლოვაკეთი 0:1.



**ირლანდია, რუსეთი, სლოვაკეთი – 10-10, სომხეთი – 8, მაკედონია – 4, ანდორა – 0 ქულა.**

**4 ივნისს ითამაშებენ:** რუსეთი – სომხეთი, მაკედონია – ირლანდია, სლოვაკეთი – ანდორა.

**„გ“ ჯგუფი.** სლოვენია – იტალია 0:1, სერბეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 2:1.

**იტალია – 13, სლოვენია, სერბეთი – 7-7, ესტონეთი – 6, ჩრდილოეთ ირლანდია – 5, ფარერები – 1 ქულა.**

**დღეს ითამაშებენ:** ჩრდილოეთ ირლანდია – სლოვენია, ესტონეთი – სერბეთი.

**„დ“ ჯგუფი.** ბოსნია – რუმინეთი 2:1, ლუქსემბურგი – საფრანგეთი 0:2, ალბანეთი – ბელარუსი 1:0.

**საფრანგეთი – 12, ბელარუსი, ალბანეთი – 8-8, ბოსნია – 7, რუმინეთი – 2, ლუქსემბურგი – 1 ქულა.**

**დღეს ითამაშებენ:** რუმინეთი – ლუქსემბურგი.

**„ე“ ჯგუფი.** უნგრეთი – ჰოლანდია 0:4.

ჰოლანდია – 15, უნგრეთი – 9, შვედეთი, მოლდოვა – 6-6, ფინეთი – 3, სან-მარინო – 0 ქულა.

**დღეს ითამაშებენ:** ჰოლანდია – უნგრეთი, შვედეთი – მოლდოვა.

**„ვ“ ჯგუფი.** საქართველო – ხორვატეთი 1:0, მალტა – საბერძნეთი 0:1, ისრაელი – ლატვია – 2:1.

**საბერძნეთი – 11, ხორვატეთი – 10, საქართველო – 9, ისრაელი – 7, ლატვია – 4, მალტა – 0 ქულა.**

**დღეს ითამაშებენ:** ისრაელი – საქართველო (პირდაპირი ტელერეპორტაჟი I არხზე 20 საათზე დაიწყება).

**„ზ“ ჯგუფი.** უელსი – ინგლისი 0:2, ბულგარეთი – შვეიცარია 0:0.

**მონტენეგრო, ინგლისი – 10-10, შვეიცარია, ბულგარეთი – 4-4, უელსი – 0 ქულა.**

**4 ივნისს ითამაშებენ:** ინგლისი – შვეიცარია, მონტენეგრო – ბულგარეთი.

**„თ“ ჯგუფი.** ნორვეგია – დანია 1:1, კვიპროსი – ისლანდია 0:0.

**ნორვეგია – 10, პორტუგალია, დანია – 7-7, კვიპროსი – 2, ისლანდია – 1 ქულა.**

**4 ივნისს ითამაშებენ:** პორტუგალია – ნორვეგია, ისლანდია – დანია.

**„ი“ ჯგუფი.** ესპანეთი – ჩეხეთი 2:1.

ესპანეთი – 12, ჩეხეთი – 6, შოტლანდია, ლიტვა – 4-4, ლიხტენშტეინი – 0 ქულა.

**დღეს ითამაშებენ:** ლიტვა – ესპანეთი, ჩეხეთი – ლიხტენშტეინი.

**მინაწერი: მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, რომ ჩვენს ჯგუფში ბერძნებმა და ებრაელებმა მინიმალური სხვაობით სძლიეს მეტოქეებს, თანაც ორივემ გადამწყვეტი გოლი მეტოქეებს ბოლო წუთებზე გაუტანა.**

**როგორ არ გავიხსენოთ ამ დროს „ჯვაროსანთა“ მიერ ლატვიაში საფინალო სასტვენის წინ დაკარგული 2 ძვირფასი ქულა. ახლა ხომ ჯგუფის ლიდერები ვიქნებოდით!**

**გ. პ.**

ინფორმაცია

## არონიანს ვერ დაეწივნენ




**მონაკოში მე-11 ტურით დამთავრდა დიდი საჭადრაკო პაექრობა „ამბერ-ტურნირი“ თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით. ბოლო ტურში ბრმა პარტიებში ყაიმზე შეთანხმდნენ ივანჩუკი და ტოპალოვი, გაშიმოვი-გრიშჩუკი, არონიან-კარიაკინი, ხოლო გამარჯვებას მიაღწიეს გელფანდმა-კარლსენთან, კრამნიკმა-ნაკამურასთან, ანანდმა-გირთან. სწრაფ ჭადრაკში კი გაიმარჯვეს ტოპალოვმა – ივანჩუკთან, ანანდმა – გირთან, კარლსენმა – გელფანდთან, ნაკამურამ – კრამნიკთან. ერთხელ კიდევ დაზავდნენ – კარიაკინი – არონიანთან, გრიშჩუკი – გაშიმოვთან.**

საბოლოოდ გაიმარჯვა არონიანმა – 15,5 ქულა, მეორე ადგილზე 14,5 ქულით კარლსენია, 13 ქულა დააგროვა ანანდმა, 11-11 ქულა აქვთ გრიშჩუკს და ივანჩუკს, 10,5-10,5 ქულა – გაშიმოვს, გელფანდს, ნაკამურასა და ტოპალოვს, კარიკინს 10 ქულა აქვს, კრამნიკს – 8 და გირს – 7.

## სერენა აკრძალეს

**ამერიკელმა ჩოგბურთელმა სერენა უილიამსმა შოკში ჩააგდო საზოგადოება, მონაწილეობდა რა ვიდეოთამაშის რეკლამაში. სერენა დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა კორტებზე – ჯერ გადაიტანა ფეხის ოპერაცია, გამოჯანმრთელების შემდეგ კი, ამას წინათ ექიმებმა მას ფილტვების ემბოლია აღმოუჩინეს. და მაინც ამ იძულებითი გაცდენების დროსაც კი ჩოგბურთელი დროს უქმად არ კარგავს.**

თამაში, რომლის სახე უილიამსი გახდა, შეიძლება, კარგიცაა, მაგრამ ამ სარეკლამო ნაწყვეტში სერენა დასახელებულია, „როგორც ყველაზე სექსუალური ჩოგბურთელი ქალი მსოფლიოში“, რაც სადავოდ მიიჩნიეს. თუმცა ჩოგბურთელის ტანსაცმელიც და საქციელიც მთლიანად შეესაბამება ამ სახელს.



როგორც Sport ru იტყობინება, აშშ ხელისუფლებამ არ მოიწონა რეკლამის ოსტატების ნამუშევარი და აუკრძალა მისი ჩვენება ქვეყანაში პიკანტურობის გამო, მაგრამ განა აშშ-ში სექსი აკრძალულია?

ბნელა?!

## უეფას ოინები



**თელ-ავივის „ბლუმფილდის“ სტადიონზე დანიშნული დღევანდელი შესარჩევი მატჩის წინ უეფამ პენალტი დაგვირტყა და ისრაელ-საქართველოს შეხვედრის მსაჯად მასპინძელთა ფრანგი თავკაცის ლუის ფერნანდესის თანამემამულე(!) ფრედი ფორტელი დანიშნა.**

როცა ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტი ნოვატორული იდეებით გამორჩეული მიშელ პლატინი გახდა, გვეგონა ასეთი კაზუსები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ თურმე ვცდებოდით.

ფორტელი „ჯვაროსანთა“ მონაწილეობით გამართულ თამაშს აქამდე ერთადერთხელ გაუძღვა და მაშინ ჩვენი გუნდი სტუმრად კვიპროსელებთან დამარცხდა – 1:2 (გოლი კუნძულელთა კარში პენალტით კობიაშვილმა გაიტანა).

რაც შეეხება ებრაელებს, მათი და მუსიე ფრედის გზები აქამდე ჯერ არ გადაკვეთილა.

იმედი ვიქონიოთ, ჩვენი შიში არ გამართლდება და უეფას ემისარი პატიოსნად მოემსახურება პრინციპულ ბრძოლას.

და ბოლოს, კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტის შესახებ, რომელიც უშუალოდ აღქმულ მიწაზე გამგზავრების წინ მოხდა: უკანასკნელ ვარჯიშზე თემურ ქეცბაიასა და გოგიტა გოგუას შორის დაწყებული შელაპარაკება ნახევარმცველის სამშობლოში დატოვებით დასრულდა.

ესლა გვაკლდა!

მშვილდოსნობა

# ჩუბინთა ევროპული სიმაღლე





**გასულ უქმეებზე ესპანეთის ქალაქ კამბრილსში დამთავრდა მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ქალთა ნაკრებმა.** გუნდური პაექრობის პირველ წრეში ჩვენმა ჩუბინებმა — ხათუნა ნარიმანიძემ, ქრისტინე ესებუამ და ასმათ დიასამიძემ მოლდოვას სძლიეს, ნახევარფინალში რუსები დაამარცხეს, გადამწყვეტ შეხვედრაში კი უკრაინელებს მოუგეს 221:215 და პირველად ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მსგავს შეჯიბრებებში ქართველ მანდილოსნებს ორჯერ მეორე ადგილი აქვთ დაკავებული. ასე რომ, კორეელი სპეციალისტის — ან იონ სეუნის მოსვლა ჩვენს ნაკრებში ფეხბედნიერი გამოდგა.

რაც შეეხება ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს, იგი რუსეთმა მოიპოვა, რომელმაც იტალიას აჯობა.

**ლაშა დიდია**

ბატუტზე ხტომა

# ფავორიტები ჩემპიონობით იწყებენ



**პეკინის ოლიმპიური თამაშების მეექვსეადგილოსანი ლუბა გოლოვინა ბატუტზე ხტომაში ახალ ვარჯიშებს ამზადებს. მწვრთნელებმა მას სირთულის კოეფიციენტი საგრძნობლად გაუზარდეს. სწორედ, ახალი პროგრამით იასპარეზა მან ეროვნულ ჩემპიონატში, რომელშიც თბილისისა და აჭარის 45 გოგონა და ვაჟი ცდიდა ძალებს.** სპორტის ოსტატის პროგრამით გოლოვინამ ფინალში 51,56 ქულით უპრობლემოდ დაიკავა პირველი ადგილი. თორმეტწლიანებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ანა ოდიშვილი გამარჯვებულს 4,2 ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 42,8-42,8 ქულით „ბრინჯაო" თეონა ჯანჯღავამ და თიკა ჩადუნელმა დაიმსახურეს. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თენგიზ კოშკაძე (56,81), 2. ზურაბ ნოზაძე (48,85), 3. გიორგი ფუტკარაძე (48,32).

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა. **გოგონები.** 1. მერი გვიანიძე, 2. მარიამ მწითური, 3. ნათია მწითური. **ვაჟები.** 1. სერგო ავეტისიანი, 2. გორგი ავლოხაშვილი, 3. ნიკოლოზ ჯალაბაძე.

იუნიორთა პროგრამით. **გოგონები.** 1. ქრისტინა სალნიკოვა, 2. ნუცა ჭკუასელი, 3. სოფო დაშნიანი. **ვაჟები.** 1. ზაურ ფრუიძე, 2. გიორგი ნაცვლიშვილი, 3. გიორგი კეკიაშვილი.

ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე 9 აპრილს ბულგარეთში გაემგზავრებიან, იქ ხუთდღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 14-17 აპრილს ვარნაში მსოფლიოს თასზე იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კალათბურთი

# საიუბილეო საჩუქარი



**მაშინ, როცა თბილისი საქართველო-ხორვატიის შესარჩევი საფეხბურთო სანახაობის მოლოდინით სუნთქავდა, დედაქალაქის სპორტის სასახლე სუპერლიგის XIX ტურის შეხვედრებს მასპინძლობდა.**

უმძაფრესი ბრძოლა გაჩაღდა თსუ-ს და შსს-ს გუნდების პრინციპულ მატჩში, რომლის ბედიც სტუდენტთა სასარგებლოდ დამატებით დროში გადაწყდა — 98:96 (ძირითადი დრო — 84:84).

თამაშის გმირები გამარჯვებულთა უკანახაზელები ფანჩულიძე — 32 ქულა (11-დან 8 ჩაგდებული სამქულიანი) და გაფრინდაშვილი (21 ქულა და 11 შედეგიანი გადაცემა) გახდნენ. სხვათა შორის, „წრიპა" თანაკლუბელ ხიზანიშვილთან ერთად იმ დღეს იუბილარი გახლდათ და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელებით საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა.

ძალოვანთაგან, ტრადიციისამებრ, წივწივაძე, ლეჟავა და ტუჯანი გამოირჩეოდნენ, მაგრამ მხოლოდ მათი ძალისხმევა წარმატების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

უკანასკნელ ხანს თვალსაჩინოა „სამედიცინოს" პროგრესი, რაც მისი ახალი თავკაცის ნუგზარ კანდელაკის ფაქტორით უნდა აიხსნას. აი, ამჯერადაც, „ქუთაისთან" გამართულ დუელში, რომელშიც საინტერესო ჯახი იყო მოსალოდნელი, როჯერსმა (23 ქულა), დვალიშვილმა (22 ქულა), როდუმტამ (შეუდარებელი გახლდათ ფარქვეშ ბრძოლაში) და ჩაჩიბაიამ შეხვედრას ინტრიგა ჩაუკლეს და პარტნიორებს სოლიდური უპირატესობა მოუტანეს — 93:70. მართალია, რიონისპირელთა ლიდერმა კვიმსაძემ კიდევ ერთხელ შეასრულა ჩვეული პირადი ნორმა — 20 ქულა, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა სტუმართა ქუჩაზე გაზაფხული ვერ მოიყვანა.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი" — „რუსთავი" 79:56, „სოხუმი" — სტუ 98:55 (პოლიტექნიკოსებს ტრავმირებული სნაიპერი ჩიკვილაძე აკლდათ), „არმია" — „დინამო" 102:60.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არმია" — 2, თსუ — 3, შსს, „ქუთაისი" — 5-5 წაგება.

**გიორგი შოთაძე**

სამთო თხილამურები



# წიკლაურის „ოქრო-ვერცხლი"

**ცოტაც და ევროპაში ზამთრის სეზონიც დამთავრდება. ფარდის დაშვებამდე ქართველმა მოთხილამურეებმა რამდენიმე შეჯიბრებაში მოსინჯეს ძალები.** ნინო წიკლაურმა გასულ შაბათ-კვირას იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში იასპარეზა. პირველ დღეს გიგანტურ სლალომში მან მე-2 ადგილი დაიკავა და გამარჯვებულ მასპინძელს — დანიელა კუელას რვა მეათედი წამით ჩამორჩა, სამაგიეროდ, ჩვენებურმა მეორე დღეს ოქროს მედალი არავის დაუთმო.

იმავე შეჯიბრებაზე გამოდიოდა 20 წლის ალექსი ბენიაიძე. გიგანტურ სლალომში ქართველმა მოთხილამურემ მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავა.

**გივი გაგუა**

ინფორმაცია

## დაკავებულია „ლომბარდის თაღლითი"

**თბილისის** პოლიციის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს 1962 წელს დაბადებული ლალი ლომიძე.

როგორ შს სამინისტრო იუწყება, ბრალდებული მუშაობდა სს „საქართველოს ბანკის "ცენტრალურ საცავში პასუხისმგებელ პირად. მის მოვალეობაში შედიოდა მოქალაქეების მიერ დალომბარდებული ძვირფასეულობის ინკასაციის მეშვეობით მიღება და გაცემა. ლალი ლომიძე 2010 წელს, სხვადასხვა დროს, ლუქის დარღვევით ხსნიდა აღნიშნული ბანკის საცავში შენახულ ძვირფასეულობის ტომსიკას და უკანონოდ ითვისებდა ოქროს ნაწარმს. გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ ბრალდებულმა მოპარული ნივთები 17-ჯერ დაალომბარდა სს „საქართველოს ბანკის" სამ სხვადასხვა სერვის ცენტრში, აღებული თანხა მიითვისა, რის შედეგადაც სს „საქართველოს ბანკმა"განიცადა 11 179 ლარის ზიანი.

დაკავებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

## მესამე დღეა ცხინვალს წყალი არ აქვს

**უკვე** მესამე დღეა ცხინვალი უწყლოდაა დარჩენილი. ოსური მედიის ინფორმაციით, ამის მიზეზი წყლის იმ წყალსადენ „ედისი-ცხინვალზე" მომხდარი დაზიანებაა, რომლის მეშვეობითაც ცხინვალს წყალი მიეწოდება. დაწესებულება „ენერგორესურსი-იუჟნაია ოსეტიას" გენდირექტორის ვადიმ გაბარაევის თქმით, „ედისი-ცხინვალის" მილსადენი ძნელადმისადგომ ადგილზეა დაზიანებული.

— ავარიის აღმოსაფხვრელად ყველა საჭირო ბრიგადა მუშაობს და სამუშაოები დაწყებულია. ავარია ძაურის რაიონში, ტრანსკამიდან 6 კმ-ის დაშორებით მოხდა და მილის 5 მეტრი მთლიანად შესაცვლელია, — აცხადებს გაბარაევი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

---

შვილი ირინა ვართანოვა, შვილიშვილები იგორი და გრიშა ბაიბურთები, სიძე ვან ბაიბურთი, ძმა გიორგი, ძმისწული მარტინ ვართანოვები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგორი მარტინის ძე ვართანოვი

გამოსვენება 29 III, 15 სთ. მის. შ. ჩიტაძის ქ. №10.

---

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გადამდგარი პოლკოვნიკი

გრიგორი ვართანოვი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მეგობარსა და კოლეგას ვან ბაიბურთს სიმამრის

გრიგორი ვართანოვის

გარდაცვალების გამო.

---

ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება" იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი მეგზევე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ვლადიმერ (ბიჭიკო) შანშაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 29, 30 III, 17 სთ. გამოსვენება 31 III, 15 სთ. მისამართი ვაჟა-ფშაველას ქუჩა 37.

---

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი მეგზევე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ვლადიმერ (ბიჭიკო) შანშაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თინა ჭყონია-ბოკუჩავა, შვილები მანანა, კაკი ბოკუჩავები, შვილიშვილები ვატო და გიგა როზაქიძეები, თინა და სანდრო ბოკუჩავები, სიძე ლევან როზაქიძე, რძალი მაია ვარდოსანიძე, ძმისწულები ზურაბ და მამუკა ბოკუჩავები ოჯახებით, ცოლისძმა ბიძინა, ცოლისდა ზინა ჭყონიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ (გრიშა) აკაკის ძე ბოკუჩავა

პანაშვიდი 29, 30 III, 17 სთ. გამოსვენება 31 III, 15 სთ. მისამართი: იაკობ ნიკოლაძის 6.

---

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე და ანდრო დევდარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ამირან, დალი, ავთო გამყრელიძეებს დედის, თაობების აღმზრდელის, სათნო და კეთილშობილი ქალბატონის

მერი იაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ელვერ კუპატაძე, რევაზ ნაცარიშვილი, ბიძინა კარტოზია, რობინზონ პაპიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩხოროწყუს რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე

მამანტი როდონაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ნინო კარანაძე, მამა ზურაბ როზაქიძე, და თაკო როზაქიძე, შვილები სალომე, ლუკა ხუნდაძეები, ბებია ფარიზა კარანაძე, დეიდა ნანა კარანაძე იუწყებიან რომ გარდაიცვალა

თიკო როზაქიძე

პანაშვიდი 29, 30 III, 17 სთ. გამოსვენება 31 III, 15 სთ. ქ. თბილისი, დარიალის შესახვევი 12.

---

მამიდა მანანა როზაქიძე, თენგიზ, სალომე, ლევან ჩარკვიანები, ლანა მინდელი, მიშა ძაძამია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თიკო როზაქიძე

---

მამიდა თამრიკო როზაქიძე, ბუბა ლეჟავა და სოფო ჩოვაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თიკო როზაქიძე.

## ამისთვისაც მოიცალეს!..

**პენისების სიგრძის რუკა, რომელიც ავსტრალიის ჯანმრთელობის ნაციონალური სააგენტოს თანამშრომლებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი მამრების მამაკაცური ღირსების სიგრძეს ეხებოდა, ნამდვილი სენსაცია გახდა.**

სააგენტო MIGnews.com“-ის ინფორმაციით, ამ საინტერესო რეიტინგში პირველ ადგილს კონგოს მცხოვრებლები იკავებენ – კონგოელი მამაკაცების სასქესო ორგანოს სიგრძე საშუალოდ 17,93 სმ-ს შეადგენს. მეორე ადგილზე ეკვადორელები არიან, რომელთა მამაკაცური ღირსების საშუალო სიგრძე 17,7 სმ-ს შეადგენს. მესამე ადგილი განას მცხოვრებლებს უკავიათ – 17,3 სმ-ით. მეოთხე და მეხუთე ადგილებს ურთიერთშორის კოლუმბიელი და ვენესუელელი მამაკაცები ინაწილებენ – 17,03 სმ-ით.

მეექსე ადგილზე ლიბანელი მამაკაცები არიან, უნივერსიტეტის მონაცემებით, ლიბანელი მამაკაცის პენისის საშუალო სიგრძე 16,8 სმ-ია. მე-12 ადგილზე იამაიკაა, მე-15 ზე ბრაზილია.

ევროპელ მამაკაცთა შორის უნგრელები ლიდერობენ – 16,1 სმ-ით – ისინი მსოფლიო რეიტინგის მეათე ადგილზე არიან. მათ მოსდევენ ფრანგები – 16 სმ-ით (ისინი მე-17 ადგილზე არიან). ჩეხ მამაკაცებს 22-ე ადგილი უჭირავთ – 15,89 სმ-ით. მათ მოსდევენ ჰოლანდიელები 15, 87 (27-ე ადგილი) და იტალიელები 15,74 (31-ე ადგილი). რეიტინგს სერიოზულად ჩამორჩებიან გერმანელები – 14,48 სმ-ით.

### ვის რა სიგრძის პენისი აქვს?..

**პოსტსაბჭოთა სივრცეში მამაკაცური ღირსების ზომით ქართველები ლიდერობენ**

მთელს **პოსტსაბჭოთა სივრცეში მამაკაცური ღირსების ზომით ქართველი მამაკაცები ლიდერობენ** – 15,61 სმ-ით, მათ მოსდევენ ბელორუსები – 14,63 სმ-ით. უკრაინელი მამაკაცების სასქესო ორგანოს საშუალო სიგრძე 13,97 სმ-ია, ესტონელების 13,78, აზერბაიჯანელების 13,72, სომხების 13,22, რუსებს კი 13,21 სმ. მართალია ამერიკელებს ამაზე უფრო პატარა აქვთ 12,9.

ებრაელებისათვის არასასიამოვნო აღმოჩენად იქცა ის, რომ ღაზას სექტორის მცხოვრებლებს მათზე დიდი აქვთ. ღაზაში საშუალო სიგრძე 15,6 სმ-ია, ისრაელში კი 14,38 სმ-ი. ირანელი მამაკაცების ღირსება – 14,55 სმ-ია.

რეიტინგის ბოლოში აზიელი მამაკაცები არიან. სიის ბოლოში კორეელი მამაკაცებია – 9,66 სმ-ით. კამბოჯელებს ცოტა უფრო დიდი აქვთ – 10.04 სმ. სიგრძესთან დაკავშირებით ასევე მაინცდამაინც არ გაუმართლათ იაპონელებს 10,92 სმ, ფილიპინელებს 10, 85 სმ, ჩინელებს – 10,89 სმ და ტაილანდელებს – 10,16 სმ.

**რედაქციისგან: ამ ინფორმაციის წაკითხვისთანავე ბევრს, ალბათ, უსაქმური კაცისა და მახათის ამბავი გაახსენდება. მგონი, შეხსენება საჭირო აღარ არის, უსაქმური კაცი რას იყრიდა და სად იყრიდა... ისე, დაახლოებით ამ უსაქმური კაცისა არ იყოს, როგორც ჩანს, ზოგიერთ ეგრეთ წოდებულ მეცნიერს საქმე გამოლევია, თორემ პენისის ზომა-წონის მიხედვით მამაკაცურ ღირსებაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულიც კია... მაგრამ პირველობა მაინც პირველობაა. თუმცა ამ საქმეში ქართველთა ლიდერობამ ვაითუ ზოგიერთი ჩვენი მეზობელი გაგვინაწყენოს კიდეც...**

## დაიჯესტი



### ბიოსაწვავის გადასარჩენად

**ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების სპეციალისტები მარკ ჯეკობსონი და მარკ დელუკი აცხადებენ, რომ 2030 წლამდე თავისუფლად არის შესაძლებელი ენერგიაზე დედამიწის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტით დაკმაყოფილება... მისი განახლებადი წყაროების გამოყენებით.**

გლობალური ენერგომომარაგების სცენარით, ყოველივე ამას ოთხი მილიონი ქარის გენერატორის, 90 ათასი დიდი მზის პარკისა და 270 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უზრუნველყოფდა, რომელიც ამ მხრივ დედამიწის „ხერხემალს“ შექმნიდა. მისი უდიდესი ფასეულობა პლანეტის კლიმატის მიმართ სრული ნეიტრალობა იქნებოდა, ხოლო დარჩენილი ათი პროცენტის შევსება გეოთერმული და მსოფლიო ოკეანის მიმოქცევებზე მომუშავე ელექტროსადგურებით იქნებოდა შესაძლებელი.

ამ ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველს მეცნიერებს ჰიდროელექტროსადგურების ტექნოლოგიების ანალიზი, კლიმატურ ცვლილებათა ეკონომიკური ეფექტიანობის დაანგარიშების შედეგები, ასევე ენერგიის სადღეისოდ არსებული რესურსების თაობაზე ანგარიშების შესწავლა აძლევს. საგულისხმოა ისიც, რომ მკვლევარებმა მომავლის ელექტროსადგურებისთვის საჭირო ფართის ოდენობაც გამოიანგარიშეს – იგი მთელი ხმელეთის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს.

აღნიშნავენ იმასაც, რომ ასეთი გრანდიოზული პროექტის განსახორციელებლად მარტო ამერიკული ინიციატივა საკმარისი არ იქნებოდა. საამისოდ აუცილებელია გლობალური მასშტაბით დაგეგმილი, სათანადოდ კოორდინირებული მოქმედება.

### „სიცოცხლე და ჯანმრთელობა“

**ჩვენი ორგანიზმის რომელი ორგანოა ყველაზე შეუცვლელი? ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ექიმებმა თითქმის ყველა ორგანოს ტრანსპლანტირება ისწავლეს, მაგრამ ერთი რამ ნაღდია: უცხვიროდ ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია. შემთხვევითი როდია, რომ სიზმრების ახსნის ძველებურ წიგნებში ცხვირის დაკარგვა სიკვდილს მოასწავებდა.**

ადამიანს არ შეუძლია უჰაეროდ სიცოცხლე, მაგრამ ჩვენს ფილტვებს ბუნების ამ ძღვენის პირდაპირ მიღება არ შეუძლიათ. ჰაერი ჯერ ოპტიმალურ ტემპერატურამდე უნდა გათბეს, შემდეგ მტვრისგან და მავნე მინარევებისგან გაიწმინდოს, მერე კი დაინამოს. ყველა ამ ფუნქციას ცხვირი ასრულებს.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ცხვირისთვის ოპტიმალური გარემოა ნოტიო ზღვის ჰაერი, რომელიც ყველა წამალზე უკეთესი მკურნალია.

რატომ არის, რომ როცა ადამიანი ცხვირს აცემინებს, მას დღეგრძელობას უსურვებენ? აღმოჩნდა, რომ ეს წესი უძველესი დროიდან მოდის. თანაც დღეგრძელობის სურვილის ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოშია გავრცელებული – არა მარტო ევროპულ კულტურაში, არამედ ამერიკელ ინდიელთა ტომებშიც და აფრიკელ აბორიგენებშიც.



შუა საუკუნეების მიდრაშებში (წმინდა სახარების ახსნებში), ასეთი განმარტებაა: როცა დაუმორჩილებლობის გამო ჩვენი წინაპარი ადამი მოკვდავი გახდა, უფლის განგებით მისი შთამომავლები ცხვირს აცემინებდნენ მხოლოდ სიცოცხლეში ერთხელ – სიკვდილის წინ. ამ წუთამდე კი ისინი არასდროს არ ავადმყოფობდნენ. ასე გაგრძელდა მამა იაკობის ეპოქამდე, როცა ცხვირის დაცემინების შემდეგ მან უფალს სიცოცხლის შენარჩუნება შეავედრა და ღმერთმა სიცოცხლე უწყალობა. იაკობი არ მოკვდა, მაგრამ ამ ძღვენის საფასურად უზენაესმა ადამიანებს მოხუცებულობის სისუსტე და სნეულებები გაუგზავნა, რათა ისინი სიკვდილს მომზადებულები შეხვედროდნენ და მისი შიში აღარ ჰქონოდათ.

ბაბილონის თალმუდში კი, კერძოდ, ნათქვამია, რომ თუ კაცი ლოცვის დროს ცხვირს დააცემინებს, მას მამაზეციერი შეისმენს.

## გვემრავლოს!

გულითადად ვულოცავთ შესანიშნავ ახალგაზრდებს ნათია გიგაურს და ოთარ ნადარაიას პირველი შვილის, ჩვენი რედაქციის მეგობრებს – მედიცინის და ეკონომიკის დოქტორებს მანანა ქორიძესა და ნუგზარ ნადარაიას, წარმატებულ მედიკოსს და ბიზნესმენს მარიკა რაზმაძესა და პაატა გიგაურს კი – პირველი შვილიშვილის შეძენას!

თავისი ოჯახისა და ქვეყნის საამაყო შვილი გაზრდილიყოს, ამთავითვე ბედნიერება, სიკეთე და დედმამიშვილთა სიმრავლე-ჯანმრთელობა დაკვებებოდეს წმინდა ჯვრის თაყვანისცემის კვირაში დაბადებულ პატარა ნინო ნადარაიას!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

იყიდება, ქირავდება!
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე) ვრცელი ფართობი (180 კვ.მ.) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



## კადრი



## ანეკდოტები

– დედი, რძის ვედროში თაგვი ჩავარდა! – ყვირის მიხო.
– მერე ამოიყვანე?
– არა, კატა ჩავაგდე.

* * *

ის, რომ ახალგაზრდობა მთავრდება, ჯერ კიდევ არ არის უბედურება. უბედურება ის არის, რომ მოხუცებულობაც მთავრდება...



* * *

თუ მთავრობა ღარიბებზე ზრუნავს, იგი უნდა შეიცვალოს. კარგი მთავრობის ხელში ღარიბები არ უნდა არსებობდნენ.

* * *

პალოზე მიბმულმა თხამ ბევრად უკეთ იცის, რა არის რადიუსი, ვიდრე ზოგიერთმა მერვეკლასელმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.